



# საქართველოში მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) განხორციელების მონიტორინგი

## ■ წინასწარმოცხადება

წინამდებარე კვლევა ჩატარდა „WeResearch“-ის მიერ პროექტის „ქალები 2030“-ის ფარგლებში, ევროკავშირის დაფინანსებითა და „ქალები საერთო მომავლისთვის“ (WECF) მხარდაჭერით.

კვლევითი ჯგუფი მადლობას უხდის რესპონდენტებს კვლევაში მონაწილეობისთვის და WECF-ის თანამშრომლებს განუვლი მხარდაჭერისა და მნიშვნელოვანი უკუკავშირისთვის.

წინამდებარე პუბლიკაცია მომზადდა ევროკავშირის დახმარებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელი მხოლოდ პროექტის „ქალები 2030“-ის პარტნიორები არიან და იგი არ შეიძლება იყოს აღქმული როგორც ევროკავშირის მოსაზრებები.

<b>შესავალი</b> .....	4
<b>მეთოდოლოგია</b> .....	6
შედეგები .....	6
საქართველოში SDG ინდიკატორების ნაციონალიზაცია .....	6
<b>მიზანი 5: გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება</b> .....	9
ამოცანა 5.1: ყველა ადგილას ყველა ქალისა და გოგონას მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის შემცირება .....	9
ამოცანა 5.2: ყველა ქალისა და გოგონას მიერ საჯარო და კერძო სფეროებში ძალადობის ყველა ფორმის, მათ შორის ტრეფიკინგის და სექსუალური და სხვა ტიპის ექსპლუატაციის, აღმოფხვრა .....	11
ამოცანა 5.3: ყოველგვარი მავნე პრაქტიკის აღმოფხვრა, როგორც არის ბავშვთა, ადრეულ ასაკში და იძულებითი ქორწინება.....	15
ამოცანა 5.5: პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა სრული და ეფექტიანი მონაწილეობისა და გადაწყვეტილებათა მიღების ყველა დონეზე ლიდერობისათვის თანასწორი შესაძლებლობების უზრუნველყოფა .....	18
ამოცანა 5.6. 2030 წლამდე, სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვაზე და რეპროდუქციულ უფლებებზე საყოველთაო წვდომის უზრუნველყოფა, მოსახლეობისა და განვითარების საკითხებზე საერთაშორისო კონფერენციის სამოქმედო პროგრამისა და პეკინის სამოქმედო პლატფორმის, ასევე მათი გადასინჯვის მიზნით გამართული კონფერენციების დასკვნითი დოკუმენტების შესაბამისად.....	22
ამოცანა 5.ა: ზომების განხორციელება და ჩვეულებითი პრაქტიკის შეცვლა ეკონომიკურ რესურსებზე ქალების თანასწორი უფლებების უზრუნველყოფის მიზნით. ასევე, მიწისა და სხვა ფორმის ქონების და მემკვიდრეობის ფლობაზე და კონტროლზე.....	26
ამოცანა 5.ბ: მოწინავე ტექნოლოგიების, კერძოდ, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების გაფართოება ქალთა გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით .....	28
<b>მიზანი 6: წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა</b> .....	31
ამოცანა 6.1: 2030 წლისთვის ყველა ადამიანისთვის უსაფრთხო და ხელმისაწვდომ სასმელ წყალზე საყოველთაო და თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა .....	31
ამოცანა 6.2: 2030 წლისთვის ყველა ადამიანისთვის ადეკვატურ და თანაბარ სანიტარიულ და ჰიგიენურ პირობებზე წვდომის მიღწევა და ღია დეფეკაციის აღმოფხვრა, საგანგებო ყურადღების მიპყრობით ქალებისა და გოგონების, ასევე მოწყვლად სიტუაციებში მყოფი ადამიანების საჭიროებებისათვის .....	31
<b>მიზანი 7: ხელმისაწვდომი, საიმედო, სტაბილური და თანამედროვე ენერჯის საყოველთაო ხელმისაწვდომობა</b> .....	36
ამოცანა 7.1. 2030 წლისთვის საქართველო მიაღწევს მნიშვნელოვან პროგრესს ხელმისაწვდომ, საიმედო და თანამედროვე ენერგომომსახურებაზე ქვეყნის მასშტაბით წვდომის უზრუნველყოფის თვალსაზრისით .....	36

## ■ შესავალი

საქართველო (მოს. 3.7 მილიონი) საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყანაა, რომელიც შავ ზღვაზე მდებარეობს. სამხრეთით ესაზღვრება თურქეთი და სომხეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთით - აზერბაიჯანი, ხოლო ჩრდილოეთით რუსეთის ფედერაცია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქვეყანამ 1991 წელს დამოუკიდებლობა მოიპოვა, რასაც წლების მანძილზე შიდა სოციალური არეულობა და ეკონომიკური კოლაფსი მოჰყვა. საქართველოს თანდათანობით წინსვლას პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილიზაციის მიმართულებით თან ახლდა დემოკრატიული პროგრესი, ქვეყნის ისტორიაში ძალაუფლების პირველი მშვიდობიანი გადაცემა, რომელიც 2012 წელს საპარლამენტო არჩევნების შედეგად განხორციელდა. მიუხედავად იმ მნიშვნელოვანი ნაბიჯებისა, რომლებიც კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის, დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობისა და ეკონომიკური განვითარების მიმართულებით გადაიდგა, ქვეყანა კვლავ მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას არსებული სიღარიბისა და უთანასწორობის გამო. სიტუაციას ასევე ამწვავებს ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში არსებული ორი გაყინული კონფლიქტი და ამის შედეგად ათასობით იძულებით გადაადგილებული პირი.

2015 წელს, 2030 წლების მდგრადი განვითარების დღის წესრიგის მიღების შემდეგ, საქართველოს მთავრობამ გამოიჩინა ინიციატივა შეერთებოდა გლობალურ მოძრაობას მდგრადი განვითარების მიმართულებით და SDG ნაციონალიზაციის პროცესი დაიწყო<sup>1</sup>. ერთი დღის წესრიგის განხორციელების პირველი ნებაყოფლობითი ანგარიში (VNR) წარდგენილი იქნა SDG-ის შესახებ გამართულ გაერთიანებული ერების მაღალი დონის პოლიტიკურ ფორუმზე 2016 წელს. საქართველოს მთავრობამ პასუხისმგებლობა აიღო 17 მიზნის, 95 ამოცანისა და 215 ინდიკატორის მიღწევაზე. ამასთანავე, შემუშავდა ეროვნული გზამკვლევი, რომელიც მოიცავს გლობალურ და ეროვნულ ამოცანებსა და ინდიკატორებს შორის არსებულ შესაბამისობებს და ასევე ინდიკატორების მიხედვით განმარტებული და პასუხისმგებელ უწყებებს.

წინამდებარე ჩრდილოვანი ანგარიშის მთავარი მიზანია მეორადი მონაცემებისა და შემთხვევათა აღწერის გზით, SDG განხორციელების პროცესში არსებულ ხარვეზების გამოვლენა და წარმატებული შემთხვევების გამოკვეთა, ასეთის არსებობის შემთხვევაში. WECF-ის ექსპერტიზისა და საქმიანობის სტრატეგიული მიმართულებებიდან გამომდინარე, ჩრდილოვანი ანგარიში, პირველ რიგში, ფოკუსირდება SDG-ის მე-5 მიზანზე - გენდერული თანასწორობა. თუმცა, დამატებით განხილულ იქნება რამდენიმე ამოცანა SDG-ის მე-6 და მე-7 მიზნებიდან, რომლებიც მნიშვნელოვანია გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების მიმართულებით. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში SDG-ის ნაციონალიზაციიდან მოკლე პერიოდია გასული, ამ ეტაპზე ინდიკატორების დონეზე პროგრესის შეფასება არ იქნება მნიშვნელოვანი ინფორმაციის მომცემი. სანაცვლოდ, WeResearch-ის გუნდმა შეისწავლა ჩრდილოვანი ანგარიშისთვის შერჩეული მიზნებისა და ინდიკატორების კონტექსტი და არსებული მდგომარეობა, მიზნების მიხედვით გამოყო მნიშვნელოვანი შემთხვევები ან/და თითოეული მიზნის ქვეშ გამოკვეთა პრობლემური საკითხები და შეიმუშავა შესაბამისი რეკომენდაციები შემდგომი გაუმჯობესებისთვის. შეჯამებისთვის, ჩრდილოვანი ანგარიში ფოკუსირებას ახდენს SDG-ის ამოცანების და ინდიკატორების განხორციელების ხარვეზებზე სამიზნე მაჩვენებლებთან მიმართებით. თითოეული ამოცანის შესახებ ქვეთავი ანგარიშში შემდეგნაირად არის სტრუქტურირებული - დოკუმენტების და მეორადი მონაცემების მიმოხილვის შედეგებს თან ახლავს შემთხვევის ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციები.

როგორც ზემოთ არის ნახსენები, ანგარიშისთვის SDG ამოცანების შერჩევის პროცესი WECF-ის ექსპერტიზამ და საქმიანობის სტრატეგიულმა მიმართულებებმა განსაზღვრა. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია შერჩეული გლობალური და საქართველოსთვის მისადაგებული ამოცანები:

<sup>1</sup> დამატებითი ინფორმაცია SDG ნაციონალიზაციის შესახებ ქართულ ენაზე ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).

<b>SDG გლობალური ამოცანები</b>	<b>ნაციონალიზებული SDG ამოცანები საქართველოსთვის</b>
5.1. ყველა ადგილას ქალებისა და გოგონების მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა	5.1. ყველა ადგილას ყველა ქალისა და გოგონას მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის შემცირება
5.2. ყველა ქალისა და გოგონას მიერ საჯარო და კერძო სფეროებში ძალადობის ყველა ფორმის, მათ შორის ტრეფიკინგის და სექსუალური და სხვა ტიპის ექსპლუატაციის აღმოფხვრა	5.2. ყველა ქალისა და გოგონას მიერ საჯარო და კერძო სფეროებში ძალადობის ყველა ფორმის, მათ შორის ტრეფიკინგის და სექსუალური და სხვა ტიპის ექსპლუატაციის აღმოფხვრა
5.3. ყოველგვარი მავნე პრაქტიკის აღმოფხვრა, როგორც არის ბავშვთა ქორწინება, ადრეულ ასაკში და იძულებით ქორწინება, ასევე ქალთა წინადაცვლათა	5.3. ყოველგვარი მავნე პრაქტიკის აღმოფხვრა, როგორც არის ბავშვთა, ადრეულ ასაკში და იძულებითი ქორწინება
5.5. პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამოგადობრივ ცხოვრებაში ქალთა სრული და ეფექტიანი მონაწილეობისა და გადანაცვტილებათა მიღების ყველა დონეზე ლიდერობისათვის თანასწორი შესაძლებლობების უზრუნველყოფა	5.5. პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამოგადობრივ ცხოვრებაში ქალთა სრული და ეფექტიანი მონაწილეობისა და გადანაცვტილებათა მიღების ყველა დონეზე ლიდერობისათვის თანასწორი შესაძლებლობების უზრუნველყოფა
5.6. სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვაზე და რეპროდუქციულ უფლებებზე საყოველთაო წვდომის უზრუნველყოფა, მოსახლეობისა და განვითარების საკითხებზე საერთაშორისო კონფერენციის შეთანხმებული სამოქმედო პროგრამით და პეკინის სამოქმედო პლატფორმით, ასევე მათი გადასინჯვის მიზნით გამართული კონფერენციების დასკვნითი დოკუმენტებით	5.6. 2030 წლამდე, სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვაზე და რეპროდუქციულ უფლებებზე საყოველთაო წვდომის უზრუნველყოფა, მოსახლეობისა და განვითარების საკითხებზე საერთაშორისო კონფერენციის სამოქმედო პროგრამისა და პეკინის სამოქმედო პლატფორმის, ასევე მათი გადასინჯვის მიზნით გამართული კონფერენციების დასკვნითი დოკუმენტების შესაბამისად
5.ა. რეფორმების გატარება იმ მიზნით, რომ ქალებს მიენიჭოთ მამაკაცების თანასწორი უფლებები ეკონომიკურ რესურსებზე. ასევე, წვდომა მიწისა და სხვა ფორმის ქონების, ფინანსური სერვისების, მემკვიდრეობისა და ბუნებრივი რესურსების ფლობაზე და კონტროლზე, ეროვნული კანონების შესაბამისად	5.ა. ზომების განხორციელება და ჩვეულებითი პრაქტიკის შეცვლა ეკონომიკურ რესურსებზე ქალების თანასწორი უფლებების უზრუნველყოფის მიზნით. ასევე, მიწისა და სხვა ფორმის ქონების და მემკვიდრეობის ფლობაზე და კონტროლზე
5.ბ. მოწინავე ტექნოლოგიების, კერძოდ, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების გაფართოება ქალთა გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით	5.ბ. მოწინავე ტექნოლოგიების, კერძოდ, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების გაფართოება ქალთა გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით
6.1. 2030 წლისთვის ყველა ადამიანისთვის უსაფრთხო და ხელმისაწვდომ სასმელ წყალზე საყოველთაო და თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა	6.1. 2030 წლისთვის ყველა ადამიანისთვის უსაფრთხო და ხელმისაწვდომ სასმელ წყალზე საყოველთაო და თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა
6.2. 2030 წლისთვის ყველა ადამიანისთვის ადეკვატურ და თანაბარ სანიტარიულ და ჰიგიენურ პირობებზე წვდომის მიღწევა და ღია დეფეკაციის აღმოფხვრა, საგანგებო ყურადღების მიპყრობით ქალებისა და გოგონების, ასევე მოწყვლად სიტუაციებში მყოფი ადამიანების საჭიროებებისათვის.	6.2. 2030 წლისთვის ყველა ადამიანისთვის ადეკვატურ და თანაბარ სანიტარიულ და ჰიგიენურ პირობებზე წვდომის მიღწევა და ღია დეფეკაციის აღმოფხვრა, საგანგებო ყურადღების მიპყრობით ქალებისა და გოგონების, ასევე მოწყვლად სიტუაციებში მყოფი ადამიანების საჭიროებებისათვის.
7.1. 2030 წლისთვის ხელმისაწვდომ, საიმედო და თანამედროვე ენერგომომსახურებაზე საყოველთაო წვდომის უზრუნველყოფა	7.1. 2030 წლისთვის საქართველოში მიაღწევს მნიშვნელოვან პროგრესს ხელმისაწვდომ, საიმედო და თანამედროვე ენერგომომსახურებაზე ქვეყნის მასშტაბით წვდომის უზრუნველყოფის თვალსაზრისით

## ■ მეთოდოლოგია

ჩრდილოვანი ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებულ იქნა შერეული მეთოდოლოგია. პირველ ეტაპზე, კონტექსტის გაანალიზებისთვის, ჩატარდა დოკუმენტის დეტალური მიმოხილვა. შერჩეული SDG მიზნების განხორციელებაში მთავარი ხარვეზების გამოკვეთის მიზნით (სტატისტიკურ მონაცემებთან დაკავშირებული ხარვეზების ჩათვლით), განხილულ იქნა 2016-2019 წლების სხვადასხვა სახის კვლევითი და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მომზადებული ანგარიშები, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშების ჩათვლით. მეორე ეტაპზე, ჩატარდა რვა სიღრმისეული ინტერვიუ. სახელმწიფო და ადგილობრივი/საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან, SDG ნაციონალიზაციის პროცესის ასევე ინდიკატორების შერჩევის და მათი განხორციელების პროცესში არსებული ხარვეზების განსახილველად. ინტერვიუებისთვის რესპონდენტების განსაზღვრა მოხდა WECF-თან კონსულტაციითა და დოკუმენტების განხილვის საფუძველზე. შემუშავდა ინტერვიუსთვის გზამკვლევი თითოეული ჯგუფისთვის (სახელმწიფო ინსტიტუტების, საერთაშორისო ორგანიზაციების და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები). ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუების შედეგად შეგროვდა თვისებრივი მონაცემები. დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების პროცესში, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო თითოეული ამოცანის ქვეშ მნიშვნელოვანი შემთხვევების გამოკვეთას. კვლევის ბოლო ეტაპზე, 2019 წლის ივლისის თვეში, რეკომენდაციების გაუმჯობესებისთვის და შედეგების ვალიდაციისთვის ჩატარდა ერთდღიანი შეხვედრა ადგილობრივი არასამთავრობო, საერთაშორისო და სამთავრობო უწყებების წარმომადგენლების მონაწილეობით.

## შედეგები

წინამდებარე თავი იწყება საქართველოში ნაციონალიზაციის პროცესის მოკლე მიმოხილვითა და პროცესში გამოვლენილი გამოწვევებისა და ხარვეზების ანალიზით. შემდეგ ქვეთავებში SDG ამოცანები, შესაბამის გლობალურ და ნაციონალიზებულ ინდიკატორებთან ერთად, ინდივიდუალურად არის განხილული. თითოეული ამოცანის ქვეთავებში წარმოდგენილია ინდიკატორების სტატუსების ზოგადი მიმოხილვა და აღწერილია კონკრეტული შემთხვევები, რომლებიც მიზნების გარშემო არსებულ კრიტიკულ საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას. თითოეული სექცია მთავრდება რეკომენდაციათა ჩამონათვალით, რომლის ადრესატებიც საქართველოში SDG ნაციონალიზაციისა და მისი განხორციელებით დაინტერესებული სამთავრობო უწყებები ან/და სხვა ადგილობრივი და გლობალური მხარეები არიან.

## საქართველოში SDG ინდიკატორების ნაციონალიზაცია

მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგი 17 მდგრადი განვითარების მიზანს (SDG) და 232 ინდიკატორს<sup>2</sup> აერთიანებს და წარმოადგენს „გლობალური პარტნიორობის ყველა ყველა ქვეყნის - განვითარებული და განვითარებადი - მიმართ მონოღებას სასწრაფო მოქმედებისკენ.“<sup>3</sup>

საქართველომ SDG ნაციონალიზაციის პროცესი 2015<sup>4</sup> წელს დაიწყო და მაკოორდინირებელ ორგანოდ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია დანიშნა. საწყის ეტაპზე მთავრობამ ტექნიკური სამუშაო ჯგუფები შექმნა, რომლებმაც განსაზღვრეს მიზნები, ამოცანები და ინდიკატორები, რომლებიც ქვეყნის კონტექსტისთვის იყო შესაფერისი. საბოლოოდ, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა 17 მიზანი, 95 ამოცანა და 215 ინდიკატორი და შეიმუშავა ეროვნული გეგმა, რომელსაც პირველადი დოკუმენტის ფუნქცია აკისრია და განმარტავს ნაციონალიზაციის ინდიკატორებს შესაბამის განმახორციელებელ და პასუხისმგებელ ორგანოებთან ერთად.

<sup>2</sup> SDG ინდიკატორების გლობალური ინდიკატორების ჩარჩოში ჩამოთვლილი ინდიკატორების ჯამური რაოდენობაა 244. თუმცა, ვინაიდან ცხრა ინდიკატორი მეორდება ორი თუ სამი სხვადასხვა ამოცანის ქვეშ, ინდივიდუალური ინდიკატორების რეალური ჯამური რაოდენობა ჩამონათვალი არის 232.

<sup>3</sup> მდგრადი განვითარების ოფიციალური ვებ-გვერდი.

<sup>4</sup> დამატებითი ინფორმაცია SDG ნაციონალიზაციის შესახებ ქართულ ენაზე ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).

აღსანიშნავია, რომ ქვეყნები თავად არიან პასუხისმგებელი ამოცანების და შესაბამისი ინდიკატორების შერჩევაზე. შესაძლებელია ზოგიერთი ამოცანისა და ინდიკატორის გამოტოვება და სხვების დამატება კონკრეტულ ქვეყანაში არსებული კონტექსტის გათვალისწინებით. SDG 5-ისა და საქართველოს კონტექსტისთვის მისაღები შესაბამისი ამოცანების გაანალიზებისას ხაზგასასმელია, რომ ზოგიერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, მაგალითად, როგორც არის ამოცანა 5.4: აუნაზღაურებელი ზრუნვისა და შინ შრომის აღიარება და დაფასება საზოგადოებრივი მომსახურებების, ინფრასტრუქტურისა და სოციალური დაცვის პოლიტიკის უზრუნველყოფითა და ოჯახში გაზიარებული პასუხისმგებლობის, როგორც ქვეყნის მასშტაბით მისაღები ფორმის დაწესებით და შესაბამისი ინდიკატორები<sup>5</sup> არ იყო არჩეული. სახელმწიფოს სტრუქტურის წარმომადგენელთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე ირკვევა, რომ მთავრობის მთავარი პრინციპი ამოცანებისა და შესაბამისი ინდიკატორების არჩევისას, ქვეყანაში მიმდინარე და მოსალოდნელი პოლიტიკა იყო. ვინაიდან, ინდიკატორი 5.4 ჩაითვალა ზედმეტად „კომპლექსურად“ და ვინაიდან სამთავრობო უწყებების სამოქმედო გეგმებში არ იყო ჩანიშნული შესაბამისი ღონისძიებები, გადაწყდა ამ ამოცანის გამოტოვება. ეს მიდგომა პრობლემურია არა მხოლოდ გენდერული თანასწორობის მნიშვნელოვანი ასპექტის უგულებელყოფის კუთხით, არამედ მთლიანად SDG 5-ის განხორციელების პროცესზე გავლენის მოხდენის მხრივ. ვინაიდან, ამოცანა 5.4 მჭიდრო კავშირშია SDG 5-ის სხვა ამოცანებთან, **აუნაზღაურებელი ზრუნვისა და შინ შრომის** აღიარების კუთხით უმოქმედობამ შესაძლოა შეაფერხოს ქვეყნის პროგრესი გენდერული თანასწორობის სხვა ამოცანების მიმართულებით. მაგალითისთვის, კვლევების თანახმად, აუნაზღაურებელი საოჯახო საქმე მთავარი ხელის შემშლელი ფაქტორია ქალების პოლიტიკასა და გადაწყვეტილების მიღების აქტივობებში მონაწილეობისთვის. გარდა ამისა, შინ შრომა ქმნის ბარიერებს ქალებისთვის რომელთაც სურვილი აქვთ დაკავდნენ ეკონომიკური საქმიანობით შრომით ბაზარზე, რაც საბოლოოდ გენდერულ სახელფასო სხვაობაზე<sup>6</sup> აისახება.

საქართველოში შეიქმნა ოთხი თემატური სამუშაო ჯგუფი SDG განხორციელების პროცესის ხელშეწყობისა და მონიტორინგის მიზნით: სოციალური ჩართულობა, ეკონომიკური ზრდა, ადამიანის უფლებები და მდგრადი ენერჯია და გარემოს დაცვა. მაშინ როცა საქართველოს მთავრობა დანიშნულია გადაწყვეტილების მიღებას ორგანოდ პოლიტიკის დონეზე, თემატური ჯგუფები კოორდინაციას უწევენ პროცესს სხვადასხვა ორგანიზაციებს შორის, ხელს უწყობენ აქტიურ კომუნიკაციას და უზრუნველყოფენ მათ შორის მონაცემთა გაცვლის პროცესს. დამატებით, არასამთავრობო და კერძო სექტორის წარმომადგენლები ჩართულნი არიან სამუშაო ჯგუფებში გამჭვირვალობისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით. სამუშაო ჯგუფები ერთმანეთს ხვდებიან ყოველწლიურად, მინიმუმ ერთხელ. 2018 წელს თითოეულმა სამუშაო ჯგუფმა ორი შეხვედრა ჩაატარა. პირველ შეხვედრაზე მონაწილეობას იღებდა მხოლოდ მთავრობის წარმომადგენლებისგან შემდგარი ტექნიკური ჯგუფი, მაშინ როცა მეორე შეხვედრას ესწრებოდნენ კერძო და არასამთავრობო სექტორების წარმომადგენლებიც. ამჟამად, იქმნება ვებ-გვერდი, რომლის მიზანიც SDG განხორციელების პროცესის მონიტორინგი გახლავთ. ვებ-გვერდზე ასევე განთავსებული იქნება მონაცემთა ბაზა, რომელიც შემოგვთავაზებს სამუშაო ჯგუფების ყოველწლიური ანგარიშგების მარტივ და საჯარო სისტემას. რესპონდენტის გადმოცემით, 80-მა პირმა უკვე გაიარა ტრენინგი იმისთვის რომ სწორად შეძლონ მონაცემთა შეყვანა და მონაცემთა ბაზის მართვა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, 2016 წელს საქართველოს მთავრობამ SDG<sup>7</sup>-ის ნებაყოფლობითი ანგარიში წარმოადგინა ნიუ იორკში მაღალი დონის პოლიტიკურ ფორუმზე მდგრადი განვითარების შესახებ. ანგარიში მოიცავდა SDG-ების მიღწევისთვის ქვეყნის ზოგად მისწრაფებას. შემდგომი ანგარიშის წარდგენა 2020 წელს იგეგმება, რომელშიც მოცემული იქნება ნაციონალიზაციის პროცესისა და მისი პროგრესის დეტალური მიმოხილვა.

<sup>5</sup> აუნაზღაურებელ შინ შრომასა და მზრუნველობაზე დახარჯული დროის პროპორცია, სქესის, ასაკისა და ადგილმდებარეობის მიხედვით.

<sup>6</sup> ქალთა ეკონომიკური უმოქმედობა და არაფორმალურ სექტორში ჩართულობა საქართველოში. ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).

<sup>7</sup> ნებაყოფლობითი ეროვნული ანგარიში მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) განხორციელებაზე, 2016წ. ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).

გაეროს განვითარების ჯგუფმა ასევე შეაფასა ეროვნული პოლიტიკის ინტეგრაცია SDG-ებთან მენისტრიმინგის, აქსელერაციისა და პოლიტიკის მხარდაჭერის (MAPS) მიდგომის გამოყენებით. MAPS გაეროს ძალისხმევის ნაწილია, რომელიც SDG-ის განხორციელების პროცესში ტექნიკური მხარდაჭერისა და რეკომენდაციების გაცემის მიზნით შემუშავდა. ანგარიშის მიხედვით, საქართველოში პოლიტიკური ინტეგრაციის დონე 81%-ზე მეტია, რაც ძალიან კარგ შედეგად ითვლება<sup>8</sup>. აღსანიშნავია, რომ საქართველოს საჯარო პოლიტიკის დოკუმენტებში SDG-ების ინტეგრაციის დონე IDFI-მ 2018 წელს შეაფასა. ორგანიზაციამ გამოიყენა იმ მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო, რომელიც გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ იყო შემუშავებული. ვინაიდან IDFI-ის მეთოდოლოგია ინდიკატორების დონეზე იყო შემუშავებული, ეს უკანასკნელი კიდევ უფრო დეტალურად არის მიჩნეული ვიდრე MAPS-ის მეთოდოლოგია. ანგარიშის მტკიცებით მე-5 მიზნის სამი ამოცანა სრულად შეესაბამება არსებულ სტრატეგიულ დოკუმენტებსა და სამოქმედო გეგმებს, 14 ამოცანა შეესაბამება ნაწილობრივ, ხოლო 10 საერთოდ არ შეესაბამება.

## რეკომენდაციები:

- **თითოეული ინდიკატორისთვის მეტი პასუხისმგებელი ორგანიზაციის ჩართვა.** SDG 5-ის შემთხვევაში, პასუხისმგებელი ორგანიზაცია რომელიც აღნიშნულია გეგმაში, ძირითადად საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაა. ვინაიდან, ადმინისტრაცია პასუხისმგებელია ანგარიშგებაზე და არაა შესაბამისი ინიციატივების/ქმედებების განხორციელებაზე, რეკომენდებულია პასუხისმგებელი ორგანიზაციების ჩამონათვალის გამრავალფეროვნება და იმ ორგანიზაციების ჩართვა რომლებიც რეალური განხორციელების პროცესზე არიან პასუხისმგებლები. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ განისაზღვროს პასუხისმგებლობები თითოეული დანიშნული ორგანიზაციისთვის, ეს ასევე ხელს შეუწყობს ორგანიზაციებს, რომ უკეთესად განსაზღვრონ თავიანთი სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები SDG ინდიკატორებისთვის.
- **მონაცემთა შეგროვების მდგრადობის უზრუნველყოფა.** SDG მონიტორინგში გამოყენებული რიგი კვლევები საერთაშორისო ორგანიზაციებისა თუ არასამთავრობო სექტორის (კერძოდ MICS, GH კვლევა და ა.შ.) დაფინანსებითა და ინიციატივით ჩატარდა. ვინაიდან ეს არ არის საქსტატის რეგულარული კვლევითი გეგმის ნაწილი, აღნიშნული მიდგომა შესაძლოა რისკის შემცველი იყოს მონაცემთა შეგროვების მდგრადობის კუთხით. შესაბამისად, რეკომენდებულია უფრო სისტემური მიდგომის შემუშავება მონაცემთა შეგროვებისათვის კერძოდ, ამ კვლევების შეტანა საქსტატის კვლევით გეგმაში.
- ეროვნულ გეგმაში კერძო სექტორის წარმომადგენლების როლისა და ჩართულობის განსაზღვრა.
- ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის გაუმჯობესება, განსაკუთრებით მონაცემთა შეგროვებისა და სტატისტიკური მონაცემების ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით. მონაცემთა ჩაშლა უზრუნველყოფილი უნდა იყოს SDG სტანდარტების მიხედვით;
- გამოტოვებული ამოცანების ნაციონალიზაცია. კერძოდ, ამოცანა 5.4 რომელიც ზომავს აუნაზღაურებელი ზრუნვისა და შინ შრომის ღირებულებას და მჭიდროდ არის დაკავშირებული სხვა ისეთი ინდიკატორების მიღწევასთან, როგორცაა ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობა, ეკონომიკური აქტივობა და შრომის ანაზღაურების სხვაობა;
- სტრატეგიული დოკუმენტებისა და სამოქმედო გეგმების SDG ამოცანებთან შესაბამისობაში მოყვანა, მათი დროული და ეფექტური მიღწევის უზრუნველსაყოფად;
- ეროვნული მეტამონაცემების შენახვა და სისტემატიზაცია. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ინდიკატორებისთვის რომლებიც შეიცვალა ან დაემატა ნაციონალიზაციის პროცესის დროს.

<sup>8</sup> ანგარიში ხელმისაწვდომი იქნება 2019 წლის ბოლოსთვის.



## მიზანი 5:

# გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაზღვებლობების გაუმჯობესება

## ამოცანა 5.1: ყველა ადგილას ყველა ქალისა და გოგონას მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის შემცირება

**ინდიკატორი: 5.1.1:** თანასწორობისა და სქესის ნიშნით დისკრიმინაციის არარსებობის ხელშეწყობის, აღსრულებისა და მონიტორინგის მიზნით საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი კანონმდებლობის არსებობა

*ინდიკატორის განმარტება: ინდიკატორი 5.1.1 ზომავს მთავრობის ძალისხმევას, რომ შემუშავდეს საკანონმდებლო ჩარჩოები რომელიც ხელს უწყობს, აღასრულებს და მონიტორინგს უწევს გენდერულ თანასწორობას.<sup>9</sup>*

### ზოგადი მიმოხილვა

საქართველო ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის (CEDAW) ხელმომწერი მხარეა. შესაბამისად, ქვეყანას აკისრია პასუხისმგებლობა რომ უზრუნველყოს ქალებსა და კაცებს შორის თანასწორობა. CEDAW-ის მე-2 მუხლი კრძალავს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმას და სახელმწიფოსგან მოითხოვს, რომ შეიმუშაოს ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო და შესაბამისად განახორციელოს ქმედებები. გარდა ამისა, ასოცირების ხელშეკრულება საქართველოსა და ევროკავშირს შორის, რომელსაც ხელი 2014 წელს მოეწერა, ქვეყანას ავალდებულებს სახელმწიფო კანონმდებლობა საერთაშორისო სტანდარტებთან<sup>10</sup> შესაბამისობაში მოიყვანოს.

აღსანიშნავია, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ქვეყანაში გენდერული თანასწორობისა და გენდერული ძალადობის დაძლევის მიმართულებით საქართველომ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა, ეროვნული პოლიტიკისა და საკანონმდებლო ჩარჩოს განვითარების თვალსაზრისით<sup>11</sup>. კონკრეტულად კი მიღებულ იქნა შემდეგი კანონები<sup>12</sup>:

- 2006 წლის საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური ძალადობის აღმოფხვრის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მათი მხარდაჭერის შესახებ;
- 2006 წლის საქართველოს კანონი ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ;
- 2010 წლის საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ;
- 2014 წლის საქართველოს კანონი ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ.
- 2019 წლის კანონი სექსუალური შევიწროვების შესახებ.

ამ კანონების მიღება და საქართველოს კანონმდებლობის შექმნისა და გაუმჯობესების მიზნით გადაადგმული ნაბიჯები, ნამდვილად, პოზიტიურ შედეგად შეიძლება შეფასდეს. თუმცა, კვლავ არსებობს რიგი საკითხები, რომლებიც კანონმდებლობის შემდგომი გაუმჯობესებისთვის არის გასათვალისწინებელი. როგორც სახალხო დამცველის 2017 წლის გენდერული თანასწორობის პოლიტიკის მონიტორინგის ანგარიშშია წარმოდგენილი, მიუხედავად იმისა რომ საკანონმდებლო

<sup>9</sup> მეტამონაცემების დოკუმენტი.

<sup>10</sup> UNDP (2018). გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები. ანგარიში ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).

<sup>11</sup> გაეროს ქალთა ორგანიზაცია. (2017წ). ეროვნული კვლევა ქალთა მიმართ ძალადობაზე. ანგარიში ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).

<sup>12</sup> საქართველოს კანონები ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).

ჩარჩო მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, ის ჯერ კიდევ არ არის სრულ ჰარმონიაში საერთაშორისო სტანდარტებთან<sup>13</sup>. UNDP-ის 2018 წლის ანგარიში აანალიზებს და განსაზღვრავს ხარვეზებს რომლებიც სახელმწიფო კანონმდებლობაშია გენდერული თანასწორობის, დისკრიმინაციისა და ქალთა მიმართ ძალადობის, ქალების პოლიტიკურ და სამოქალაქო საკითხებში მონაწილეობის, მათი ეკონომიკური უფლებამოსილების მინიჭების და ა.შ. თვალსაზრისით. ანგარიში გვანვდის შემდგომი გაუმჯობესებისთვის საჭირო შესაბამის კანონებსა და სამოქმედო გეგმებში შემოთავაზებული ცვლილებების დეტალურ ჩამონათვალს<sup>14</sup>. და ბოლოს, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანიზაცია, „თანასწორობა ახლა“ განიხილავს ხარვეზებს კანონში სექსუალური ძალადობის შესახებ და ამტკიცებს, რომ არსებული სამართლებრივი ჩარჩო შესაძლებლობების ფართო სპექტრს სთავაზობს მოძალადეს სასჯელის თავიდან აცილების თვალსაზრისით.<sup>15</sup>

## შემთხვევის ბანხილვა

სექსუალური შევიწროვების შესახებ კანონის მიღება შეიძლება განიხილოს როგორც საზოგადოებას, აქტივისტებსა და სახელმწიფოს შორის წარმატებული თანამშრომლობის მაგალითი. გარდა ამისა, აქვე უნდა აღინიშნოს მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების აქტიური მონაწილეობაც. კანონის დამტკიცებას წინ უძღვოდა სექსუალური შევიწროვების ოთხი შემთხვევა რომლებიც მედიის საშუალებით გაშუქდა. სექსუალური შევიწროვების მსხვერპლები იბრძოდნენ სამართლიანობისთვის და საჩივარი შეიტანეს მოძალადეების წინააღმდეგ ისე, რომ არ შეუშინდნენ იმ დროს შესაბამისი კანონის არ არსებობას. ოთხივე შემთხვევაში მოძალადეები ძალაუფლების მქონე საზოგადო პირები იყვნენ, რამაც აღნიშნული შემთხვევები ცნობილი გახადა ფართო საზოგადოებისთვის. მსხვერპლებს რიგი გამოწვევების წინაშე მოუხდათ დადგომა, მათ შორის საჭირო სამართლებრივი ჩარჩოს არ ქონის და არაკეთილგანწყობილი საზოგადოების წინაშე, რომელიც არ თვლიდა სექსუალურ შევიწროვებას დანაშაულად და მსხვერპლებს ადანაშაულებდა როგორც თავად ინიციატორში, ასევე მოძალადის წინააღმდეგ საჩივრის შეტანაში.

ერთ-ერთი შემთხვევის საქმე სასამართლოში რამდენიმე წელი გაგრძელდა, მაგრამ საბოლოოდ მიღწეულმა წარმატებამ მნიშვნელოვანი პრეცედენტი შექმნა, რომელიც მოგვიანებით ადამიანთა უფლება-დამცველებისა და ფემინისტი აქტივისტების მიერ იქნა გამოყენებული კანონის მიღების ლობირების პროცესში. შედეგად, სექსუალური შევიწროვება ახლა სახელმწიფო კანონმდებლობით რეგულირდება, კერძოდ კი კანონით დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსითა და შრომის კოდექსით. აღსანიშნავია, რომ კანონის დამტკიცების შემდეგ მალევე დაფიქსირდა მისი წარმატებული გამოყენების შემთხვევები.

## რეკომენდაციები:

- კანონის განხორციელების პროცესის მხარდაჭერა, მოსამართლეებისთვის და სხვა ჩართული მხარეებისათვის ტრენინგების უზრუნველყოფის გზით;
- სექსუალური შევიწროვების კანონის შესახებ საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლება ორი მთავარი მიმართულებით: ერთი მხრივ, ინფორმაციის მიწოდება პროცედურებზე: როგორ უნდა მოვიქცეთ შევიწროვების შემთხვევაში, რომელ ორგანიზაციებს დავუკავშირდეთ და ა.შ. მეორე მხრივ, მუშაობა დამოკიდებულების შეცვლის მიმართულებით, ვინაიდან სექსუალური შევიწროვების პრაქტიკას ღრმად აქვს ფესვები გადგმული მასკულინურ კულტურაში და მისაღებია მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის;
- მხარდამჭერი პროგრამების/მომსახურებების შექმნა სექსუალური შევიწროვების მსხვერპლი ქალებისთვის.

<sup>13</sup> სახალხო დამცველის ოფისი. 2017წ. გენდერულ თანასწორობაზე 2014-2016წწ. ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელება – მონიტორინგის შედეგები. ანგარიში ქართულ ენაზე ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).

<sup>14</sup> UNDP (2018). გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები. ანგარიშის პირველი ტომი ხელმისაწვდომია [ბმულზე](#). მეორე ტომი ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).

<sup>15</sup> თანასწორობა ახლა. 2019წ. სამართლის ბარიერები, როგორ მარცხდება კანონი ევრაზიაში სექსუალურ ძალადობას გადარჩენილებთან მიმართებაში. ანგარიში ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).

## ამოცანა 5.2: ყველა ქალისა და ბოგონას მიერ საჯარო და კერძო სფეროებში ძალადობის ყველა ფორმის, მათ შორის ტრეფიკინგის და სექსუალური და სხვა ტიპის ექსპლუატაციის, აღმოფხვრა


ამ ამოცანის ქვეშ შეფასდა ორი ინდიკატორი 5.2.1 და 5.2.2. თითოეული ინდიკატორი ცალ-ცალკე იქნება განხილული ქვემოთ.

*ინდიკატორის განმარტება: ინდიკატორი 5.2.1 ზომავს 15 - 64 წლის იმ ქალებისა და გოგონების პროპორციულს რაოდენობას ძალადობის ფორმის და ასაკის მიხედვით, რომელთაც ჰყოლიათ პარტნიორი და რომელთა მიმართ ამჟამინდელი ან ყოფილი ინტიმური პარტნიორის მხრიდან წინა 12 თვის განმავლობაში ადგილი ჰქონდა ფიზიკურ, სექსუალურ ან ფსიქოლოგიურ ძალადობას*

### ზოგადი მიმოხილვა

გაეროს დეკლარაცია ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ (1993) ძალადობას ქალთა მიმართ განსაზღვრავს როგორც „გენდერული ძალადობის ნებისმიერ ქმედებას რაც იწვევს ან შეიძლება გამოიწვიოს ფიზიკური, სექსუალური და ფსიქოლოგიური ზიანი ან ტანჯვა მიაყენოს ქალს, მათ შორის მუქარა, იძულება ან თავისუფლების თვითნებური აღკვეთა, რაც ხდება საჯაროდ ან პირად ცხოვრებაში“.<sup>16</sup> ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობა გენდერული ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმაა. იმ კულტურებსა და საზოგადოებაში სადაც დომინანტი მამაკაცია, ძალადობა ინტიმურ პარტნიორებს შორის ფართოდ გავრცელებული მოვლენაა, განსაკუთრებით დაქორწინებული წყვილების შემთხვევაში. შესაბამისად, ძალადობა ინტიმურ პარტნიორებს შორის შესაძლოა გენდერული უთანასწორობის ღრმად ფესვგადგმულ მანიფესტაციად ჩაითვალოს.

### გრაფიკი 1: ინტიმური პარტნიორების მხრიდან ძალადობის გამოცდილების %



ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური ძალადობის აღმოფხვრის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მათი მხარდაჭერის შესახებ საქართველოს კანონში გამოიყოფა ხუთი სხვადასხვა სახის ოჯახური ძალადობა: ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური და იძულება.<sup>17</sup>

2017 წელს გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ ჩატარდა რეპრეზენტატიული კვლევა ქვეყანაში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ყოვლისმომცველი მონაცემების შესაგროვებლად.<sup>18</sup> კვლევამ აჩვენა, რომ ძალადობა ჩვეულებრივი გამოცდილებაა ბევრი ქალის ცხოვრებაში- 15-64 წლის ქალებში რომლებიც მინიმუმ ერთხელ მაინც ყოფილან ურთიერთობაში, დაახლოებით 6 პროცენტს გამოუცდია ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა ინტიმური პარტნიორის მხრიდან და თითქმის ყოველი მეშვიდე (13%) ყოფილა ემოციური ძალადობის მსხვერპლი ინტიმური პარტნიორის მხრიდან. საერთო ჯამში, 15-64 წლის ასაკის შვიდიდან ერთი ქალი აცხადებს, რომ გამოუცდიათ ფიზიკური, სექსუალური ან/და ემოციური ძალადობა ინტიმური პარტნიორის მხრიდან. აღსანიშნავია, რომ ქალები უფრო ხშირად განიცდიან განმეორებით ძალადობრივ ქმედებებს და არა ერთჯერადად.

<sup>16</sup> სრული განმარტება იხილეთ [ბმულზე](#).

<sup>17</sup> კანონი ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).

<sup>18</sup> გაეროს ქალთა ორგანიზაცია. (2017წ.) ეროვნული კვლევა ქალთა მიმართ ძალადობაზე. ანგარიში ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).

კვლევის თანახმად, ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობა (IPV) მნიშვნელოვანი პრობლემაა როგორც სასოფლო ასევე საქალაქო დასახლებაში (გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2017). თუმცა, ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის შემთხვევები უფრო მაღალი იყო ქალაქში (16%-მა განაცხადა ფიზიკური, სექსუალური ან ემოციური ძალადობის შესახებ) ვიდრე სოფელში (11%-მა განაცხადა ფიზიკური, სექსუალური ან ემოციური ძალადობის შესახებ). აღსანიშნავია, რომ ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის უფრო მაღალი მაჩვენებელი ქალაქის შემთხვევაში სხვა ფაქტორებით შეიძლება აიხსნას: ქალები ქალაქში უფრო ინფორმირებულები არიან ძალადობისა და თავიანთი უფლებების შესახებ, ძალადობა ნაკლებად ნორმირებულია ქალაქში, და ბოლოს აქ ქალები უფრო თავდაჯერებულები არიან ვიდრე სოფელში იმისთვის რომ გაამხილონ თავიანთი გამოცდილება ძალადობის კუთხით.


რაც შეეხება ასაკობრივ სხვაობას, კვლევამ აჩვენა, რომ ძალადობა ინტიმური პარტნიორების მხრიდან უფრო ჭარბობს ასაკით უფროს ქალებში (გაეროს ქალთა ორგანიზაცია). ეს შეიძლება ავსნათ ფაქტით, რომ ეს უკანასკნელი უფრო დიდხანს იყვნენ ძალადობის რისკის ქვეშ ვიდრე ახალგაზრდა ქალები. კვლევის შედეგების საფუძველზე, ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის შესახებ 30-49 წლის ასაკის ქალების 7%-მა განაცხადა, ხოლო 15-24 წლის ქალების - 3%-მა.

**ინდიკატორის განმარტება: ინდიკატორი 5.2.2 ზომავს 15-64 წლის იმ ქალებისა და გოგონების პროპორციულ რაოდენობას ასაკის და ძალადობის ადგილის მიხედვით, რომელთა მიმართ არა ინტიმური პარტნიორის მხრიდან წინა 12 თვის განმავლობაში ადგილი ჰქონია სექსუალურ ძალადობას**

**ზოგადი მიმოხილვა**

ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობა ადამიანის უფლებათა დარღვევის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა მსოფლიოში. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) 2013 წლის მონაცემების თანახმად, მსოფლიოში ქალთა 7% ყოფილა სექსუალური ძალადობის მსხვერპლი არა-ინტიმური პარტნიორის მხრიდან<sup>19</sup>. პოლიტიკის დონეზე ადეკვატური რეაგირებისათვის აუცილებელია რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების არსებობა.

**გრაფიკი 2: არაინტიმური პარტნიორების მხრიდან ძალადობის გამოცდილება**



გაეროს ქალთა ორგანიზაციის 2017 წლის კვლევის მიზანი იყო, გამოეკვლინა საქართველოში არა-პარტნიორის მხრიდან ჩადენილი ძალადობის სიხშირე. საერთო ჯამში, ქალების 26%-მა განაცხადა, რომ ჰქონდა სექსუალური ძალადობის ან/და სექსუალური შევიწროვების გამოცდილება არა-პარტნიორის მხრიდან, მათ შორის სექსუალური შევიწროვება ბავშვობაში. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ 15-64 წლის ასაკის ქალების 2.7%-ს გამოცდილი აქვს სექსუალური ძალადობა არა ქმრის ან პარტნიორის არამედ სხვა პირის მხრიდან. ქალების 3%-მა განაცხადა, რომ ყოფილან გაუპატიურების და სექსუალური ძალადობის მცდელობის მსხვერპლნი არა-პარტნიორი პირის მხრიდან. არა-პარტნიორის მხრიდან სექსუალური ძალადობის ყველაზე ხშირი ჩამდენები იყვნენ მამრობითი სქესის მეგობრები/ნაცნობები და სრულიად უცხო ადამიანები. თვისებრივი ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვთა, რომ ფიზიკური და ემოციური ძალადობა არა-პარტნიორი პირების მხრიდან,

<sup>19</sup> მეტამონაცემების დოკუმენტი.

ჩვეულებრივ მოვლენად აღიქმება. კერძოდ, ქალებმა განაცხადეს რომ განუცდიათ ფიზიკური და ემოციური შეურაცხყოფა ოჯახის წევრების მხრიდან, დედამთილ-მამამთილის, ძმების, გერებისა და რძლებისა თუ მულების მხრიდან.

## კრიტიკული საკითხი

სექსუალური ძალადობა განისაზღვრება როგორც სექსუალური ხასიათის საქციელი განხორციელებული სხვის მიმართ. ის მოიცავს შეურაცხმყოფელ სექსუალურ კონტაქტს, მუქარის შემცველ საქციელს, სხვა ადამიანის უმწეობის გამოყენებას და სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება. ის რეგულირდება სისხლის სამართლის კოდექსის 137-140<sup>20</sup> მუხლებით. მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას კანონმდებლობაში და მის განხორციელებაში არსებულ ხარვეზებს, რაც დამატებითი გამონწვევების წინაშე აყენებს მსხვერპლებს.

ს.გ. სექსუალური ძალადობის მსხვერპლი 2016 წელს გახდა. მისი შემთხვევა ფართოდ ცნობილი გახდა რადგან მან ამის შესახებ საჯაროდ ლაპარაკი გადაწყვიტა. ის 22 წლის იყო როდესაც ორმა უცნობმა გააუპატიურა ქუჩაში გვიან საღამოს. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ქალი არჩევს არ ისაუბროს საკუთარი გამოცდილებების შესახებ სექსუალური ძალადობის კუთხით, ს.გ.-მ გადაწყვიტა ღიად ესაუბრა ამ ინციდენტის შესახებ და მოეთხოვა სამართალი. პროცესის დროს იყო რიგი წინააღმდეგობის რომლის წინაშეც იგი აღმოჩნდა:

- პოლიციელების დამოკიდებულება, რომლებიც თავდაპირველად მას ადანაშაულებდნენ რომ ის არ იყო „ოჯახის გოგო“ (სავარაუდოდ გულისხმობდნენ, რომ ის იყო მეძავი) და მოგვიანებით ურჩიეს, რომ არ ესაუბრა ამ შემთხვევის შესახებ და არ დაენგრია საკუთარი მომავალი და პერსპექტივები;
- სასამართლო პროცესები, სადაც ის ერთდროულად მსხვერპლიც იყო და მონმეც. მას უწევდა გაეხსენებინა ამ ინციდენტის თითოეული დეტალი, ვინაიდან შელწევადობის არ არსებობის შემთხვევაში, ძალადობის აქტი არ ითვლება გაუპატიურებად;
- და ბოლოს, საზოგადოების დამოკიდებულება. მიუხედავად იმისა, რომ მას ჰქონდა მხარდაჭერა ახლო მეგობრებისა და კოლეგების მხრიდან, ბევრმა თავად ის დაადანაშაულა ამ ინციდენტში.

„თანასწორობა ახლა“-ს (2019) მიერ შემუშავებული უახლესი ანგარიში საქართველოში სექსუალური ძალადობისა და გაუპატიურების სამართლებრივი ჩარჩოს ყოვლისმომცველ მიმოხილვას გვთავაზობს და განსაზღვრავს არსებულ ხარვეზებს:

1. სექსუალური ძალადობის განმარტება არ შეესაბამება სტამბოლის კონვენციას. კერძოდ, განმარტება არ მოიცავს მსხვერპლის მხრიდან ნებაყოფლობითი თანხმობის კომპონენტს;
2. საგამოძიებო პროცედურები მოძველებულია, საბჭოთა დროიდან მოყოლებული არ შეცვლილა და დისკრიმინაციულია მსხვერპლის მიმართ. შესაძლებლობები, რომელიც უზრუნველყოფილია კანონით არ გამოიყენება პრაქტიკაში ანუ მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა სახის ძალადობა რეგულირდება სისხლის სამართლის კოდექსით (მუხლები 137-138-139), პრაქტიკაში, მხოლოდ გაუპატიურება ითვლება სექსუალური ძალადობის ფორმად, ხოლო სხვა ფორმები მეტწილად უგულებელყოფილია;
3. ბავშვთა ქორწინება რეგულირდება სისხლის სამართლის კოდექსით (მუხლი 140), თუმცა როგორც „თანასწორობა ახლა“-ს წარმომადგენელი ამბობს, მისი განხორციელება პრობლემას წარმოადგენს. კერძოდ, შესაბამისი დანებსებულებები, ანუ სკოლები არ აწვდიან ინფორმაციას სამართლებრივ ორგანოებს ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევების თაობაზე. ეს საკითხი კიდევ უფრო მძიმდება ფართოდ გავრცელებული ტრადიციული მოსაზრებით, რომლის მიხედვითაც პრიორიტეტი ენიჭება ოჯახის სრულწლოვანი წევრების სურვილებს და არა არასრულწლოვანი მსხვერპლებისას. როგორც წესი, პროკურორებს იგივე მოსაზრება აქვთ და ოჯახის მხარეს იჭერენ;

<sup>20</sup> სისხლის სამართლის კოდექსი ქართულ ენაზე ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).

4. და ბოლოს, არ არსებობს ცალკე მუხლი რომელიც დაქორწინებულ წყვილებში გაუპატიურების შემთხვევებს არეგულირებს. შესაბამისად, სექსუალურ ძალადობას მეუღლეებს შორის მსხვერპლი არ აღიქვამს ძალადობად და არ არის კლასიფიცირებული ძალადობად სამართლებრივი ორგანიზაციების მიერ.

## რეკომენდაციები<sup>21</sup>

### კანონმდებლობა

- იმის უზრუნველყოფა, რომ სექსუალური ძალადობის შემცველი დანაშაულებების განმარტება შეესაბამებოდეს CEDAW-ს და სტამბოლის კონვენციას და მოიცავდეს სექსუალური ქმედების ყველა ფორმას, რომელიც ჩადენილია მსხვერპლის ნებაყოფლობითი, ნამდვილი და ძალდაუტანებელი თანხმობის გარეშე. კერძოდ, კანონში მკაფიოდ უნდა იყოს ნათქვამი, რომ ნებისმიერი სექსუალური ქმედება რომელიც არ მოიცავს ამ ქმედებაში მონაწილე პირების თანხმობას, არის გაუპატიურება.

### ბანსორცილება

- უზრუნველყოფა იმისა, რომ სასჯელები სექსუალური ძალადობის დანაშაულებისთვის (გაუპატიურება, სექსუალური შეურაცხყოფა, სქესობრივი კავშირის დამყარების იძულება, სექსუალური აქტის დამყარება არასრულწლოვანთან, არასრულწლოვანის გაუპატიურება) თანაბომიერი იყოს ჩადენილი ქმედების სიმძიმესთან, სექსუალური ძალადობის შემცველი დანაშაულების უფრო სერიოზულ კატეგორიაში კლასიფიკაციით;
- სექსუალური ძალადობის შემცველი დანაშაულებების კონკრეტული ხასიათის ამოცნობისა და გამოძიებისას, სამხილების მოგროვების, მონშეთა დაკითხვისა და სექსუალური ძალადობის შესახებ სასამართლო საქმის წარმოების პროცესში, გენდერულად მგრძობიარე მიდგომის უზრუნველყოფა, რაც თავისუფალი იქნება ყველანაირი სტერეოტიპისგან, შებლუდული შესაძლებლობის, ეთნიკურობისა და სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე არსებული სტერეოტიპების ჩათვლით;
- უზრუნველყოფა იმისა, რომ დაზარალებულის მხრიდან განცხადების წარდგენაზე უარის თქმა ან განცხადების შეცვლა დამნაშავის სასარგებლოდ, არ არის საფუძველი დასკვნის გამოსატანად, რომ „დანაშაულის ნიშნები“ არ მოიძებნა და არ არის საფუძველი სექსუალური ძალადობის შემცველი დანაშაულებების კუთხით გამოძიების ან სასამართლო საქმის წარმოების შესაჩერებლად;
- უზრუნველყოფა იმისა, რომ ყოველი განცხადებული სექსუალური ძალადობის შემცველი ქმედება ოფიციალურ დანაშაულთა სიაში აღირიცხება, სტატისტიკა კი შეგროვდება და კომპონენტებად დაიყოფა სქესის, ასაკისა და მონყვლადობის სტატუსის საფუძველზე;
- სექსუალური ძალადობის შემცველი დანაშაულებისთვის საპროცესო შეთანხმების გზით დამნაშავეთა დაუსჯელად დატოვების პრაქტიკის აღმოფხვრა;
- არასრულწლოვანთა გაუპატიურების ყველა შემთხვევის სასამართლოში, როგორც გაუპატიურების შემთხვევის გასაჩივრება და ბრალდების არ შემცირება არასრულწლოვანთან სქესობრივი აქტის დამყარების სტატუსამდე როდესაც არსებობს გაუპატიურების ბრალდების მხარდამჭერი სამხილი;
- საჭიროების შემთხვევაში, არასრულწლოვანთან სქესობრივი აქტის დამყარებაში ბრალდებულისთვის საპროცესო შეთანხმების დაშვების პრაქტიკის აღმოფხვრა, რომელიც მიზნად ისახავს ნაკლები სასჯელის დაკისრებას;
- მოხდეს დაოჯახებულ წყვილებს შორის გაუპატიურების კრიმინალიზაცია და მისი როგორც გაუპატიურების დამამძიმებელი გარემოების აღქმა;
- დაოჯახებულ წყვილებს შორის გაუპატიურების შემთხვევის შესახებ, სასამართლო საქმის ეფექტურად წარმოება და სასჯელის გამოტანა.

<sup>21</sup> გთხოვთ, გაითვალისწინეთ, რომ რეკომენდაციები მომდინარეობს „თანასწორობა ახლა“-ს 2019 წლის ანგარიშიდან.

## **ამოცანა 5.3. ყოველგვარი ბავშვი პრაქტიკის აღმოფხვრა, როგორც არის ბავშვთა, ადრეულ ასაკში და იძულებითი ქორწინება**

**ინდიკატორი 5.3.1:** 20-24 წლის იმ ქალთა პროპორციული ოდენობა, რომლებიც დაქორწინებულები იყვნენ ან სამოქალაქო კავშირში იმყოფებოდნენ 15 და 18 წლის ასაკამდე

**ინდიკატორი: 5.3.2.2:** იმ გოგონების რაოდენობის შემცირება, რომლებმაც სკოლა ქორწინების გამო დატოვეს სკოლა ქორწინების გამო დატოვეს

**ინდიკატორის განმარტება: ინდიკატორი 5.3.1. ზომავს 20-24 წლის ასაკის ქალების პროპორციას, რომლებიც დაოჯახებულნი იყვნენ ან კავშირში იყვნენ 15 წლამდე და 18 წლამდე**

**ინდიკატორი 5.3.2.2. აფასებს იმ გოგონების რაოდენობას, რომლებმაც ნაადრევად შეწყვიტეს საშუალო განათლების მიღება ქორწინების გამო.**

### **ზოგადი მიმოხილვა**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი<sup>22</sup> კრძალავს არასრულწლოვან პირთა (18 წელს ქვემოთ) ქორწინებას ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, ამის გამო, არასრულწლოვან გოგონებსა და ბიჭებს შორის ოფიციალურად რეგისტრირებული ქორწინებების რაოდენობა საქართველოში ამჟამად ნულს უდრის. თუმცა, ეს რიცხვი მალავს პრობლემის ნამდვილ სიდიდეს, ვინაიდან, ბავშვთა ქორწინების პრაქტიკა, არაოფიციალურად, ჯერ კიდევ გრძელდება. მისი არაოფიციალური ბუნებიდან გამომდინარე, შეუძლებელია პრობლემის მასშტაბზე ზუსტი მონაცემის შეგროვება, თუმცა, ქვეყანაში არასრულწლოვანი მშობლების რაოდენობა გარკვეულწილად გვეხმარება სურათის უფრო ნათლად დანახვაში. შობადობის შესახებ იუსტიციის სამინისტროს მიერ შეგროვებულ მონაცემებზე დაყრდნობით, 2018 წელს 715 არასრულწლოვანი დედა და 23 არასრულწლოვანი მამა დარეგისტრირდა.<sup>23</sup> მიუხედავად იმისა, რომ ეს რაოდენობა წინა წლის მონაცემთან შედარებით (835 არასრულწლოვანი მშობელი) შემცირებულია, საკითხი კვლავ საგანგაშოა და ხაზს უსვამს სახელმწიფო მხრიდან ქმედითი ნაბიჯების საჭიროებას. კიდევ ერთი საზომი, რომელიც მიმართულია არასრულწლოვანთა ქორწინებების გავრცელების შესაფასებლად, გულისხმობს 20-24 წლის ასაკის დაოჯახებულ ქალებს შორის იმ ქალების რაოდენობის აღრიცხვას, რომლებმაც ოჯახი 18 წლამდე შექმნეს. 2017 წლის მონაცემებით, საქართველოში ეს რიცხვი 14%-ს შეადგენს.

მიუხედავად ამ პრობლემის მრავალწლიანი ისტორიისა საქართველოში, არასრულწლოვანთა ქორწინების საკითხი ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ გააზრებული საზოგადოებაში. UNFPA-ის 2017 წლის კვლევა<sup>24</sup> აჩვენებს, რომ ნაადრევი ქორწინება მოსახლეობაში ითვლება მხოლოდ სოფლად მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების პრობლემად, მაშინ, როცა ბავშვთა ქორწინება პრობლემას წარმოადგენს ასევე ეთნიკურად ქართველ, ქალაქში მცხოვრებ მოსახლეობაში, მათ შორის, თბილისშიც კი. კვლევამ, ამავდროულად, წარმოაჩინა, რომ ბავშვთა ქორწინების განმარტება საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფში განსხვავებულია. ზოგი ნაადრევ ქორწინებას პრობლემად თვლის მხოლოდ მაშინ, როდესაც გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ არის გათვალისწინებული არასრულწლოვანის აზრი. შესაბამისად, საზოგადოების ეს ნაწილი არასრულწლოვანთა ქორწინებას მისაღებად თვლის, იმ შემთხვევებში, როცა გადაწყვეტილება მიღებულია არასრულწლოვანის სურვილით. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ ბავშვები და მოზარდები ქორწინების შესახებ ინფორმაციას ძირითადად თანატოლებისგან, ინტერნეტიდან ან მშობლებისგან იღებენ. ეს მიგნება ხაზს უსვამს ცნობიერების ამაღლების ინსტიტუციური მექანიზმების ნაკლებობას ქორწინების, ქორწინებისთვის სათანადო ასაკის, არჩევნის უფლებისა და სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სხვა საკითხების შესახებ.

<sup>22</sup> სამოქალაქო კოდექსის ქართული ვარიანტი ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).

<sup>23</sup> სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიში ქართულ ენაზე ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).

<sup>24</sup> მთლიანი ანგარიში ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).

კვლევის მიხედვით, საქართველოში ნაადრევი ქორწინების პრაქტიკას მრავალი ფაქტორი უწყობს ხელს. ზოგიერთი მათგანი მოზარდებს უბიძგებს, ნებაყოფლობით აირჩიონ ცხოვრებაში ეს გზა:

- ქართული ტრადიციული ნორმები, რომელიც მოზარდებს თავისუფლად შეხვედრის შესაძლებლობებს უზღუდავს, წყვილებს უბიძგებს, ქორწინების შესახებ გადაწყვეტილება მიიღონ ურთიერთობის ადრეულ ეტაპზე;
- ქორწინებამდე სექსთან დაკავშირებული სტიგმები მოზარდებს აიძულებს, ქორწინება აირჩიონ როგორც საკუთარი სექსუალობის შესწავლის გზა;
- ეკონომიკური სიდუხჭირე, უმუშევრობა და შესაძლებლობების ნაკლებობა საქართველოს ბევრ სოფელსა და ქალაქში ქორწინებას ერთადერთ რეალურ ალტერნატივად აქცევს გოგონებისთვის და მათი ოჯახებისთვის;
- 30 წლამდე დაუოჯახებელი ქალების სტიგმატიზაცია სოციალურ წნეხს ქმნის ქალებისთვის ადრეულ ასაკში მიიღონ დაოჯახების გადაწყვეტილება;
- დედამთილებს ურჩევნიათ ოჯახში შედარებით დამთმობი ხასიათის მქონე ახალგაზრდა გოგონა მოიყვანონ, რომლის „ინტეგრირებაც“ ახალი ოჯახის ცხოვრების სტილთან და ტრადიციებთან უფრო იოლი იქნება.

ამ ფაქტორების სიმრავლე ხაზს უსვამს უფრო ფართომასშტაბიანი მიდგომის საჭიროებას ბავშვთა ქორწინების წინააღმდეგ ბრძოლაში. ინტერვენციების მიზანი უნდა იყოს ცნობიერების ამაღლება, სტიგმებისა და ტაბუების წინააღმდეგ ბრძოლა, ისევე, როგორც საქართველოში ახალგაზრდა გოგონებისა და ბიჭებისთვის შესაძლებლობების გაფართოება.

საპატარძლოს მოტაცება კავკასიის რეგიონში გავრცელებული ტრადიციაა, რაც ამძაფრებს ბავშვთა ქორწინებასთან დაკავშირებულ პრობლემას საქართველოში. ქალების სტიგმატიზაციის გამო, მოტაცებულ საპატარძლოებს ხშირად საკუთარი ოჯახი და საზოგადოება უბიძგებს, რომ დარჩნენ ქორწინებაში მიუხედავად იმისა, რომ ამის სურვილი არ აქვთ. ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში საპატარძლოს მოტაცების ამკრძალავი კანონის აღსრულება პრობლემატურ საკითხად რჩება, ვინაიდან სამართალდამცავი ორგანოები თავს იკავებენ მკაცრი სასჯელების დაწესებისგან, იმის მოლოდინით, რომ ოჯახები თავად მიაღწევენ შეთანხმებას და დამოუკიდებლად გადაჭრიან დავას.

## კრიტიკული საკითხი

### განათლება და ნაადრევი ქორწინება

განათლების სამინისტროს მონაცემების თანახმად, 2016 წელს, ჯამში 11,741 ახალგაზრდამ მიატოვა სკოლა<sup>25</sup>. აქედან 257 შემთხვევაში ოფიციალურ მიზეზად ქორწინება დაფიქსირდა, თუმცა, შემთხვევების დიდი წილი კლასიფიცირებული არ არის, რაც შეუძლებელს ხდის სკოლის მიტოვების რეალური მიზეზის დადგენას. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის მიტოვების შემთხვევების ეს რაოდენობა ნაკლებია წინა წლის ინდიკატორთან შედარებით, როცა 576-მა მოსწავლემ შეწყვიტა სკოლაში სიარული ქორწინების გამო.

თვისებრივი კვლევის შედეგები სკოლის მიტოვების მიზეზების უფრო სიღრმისეული ანალიზის შესაძლებლობას გვაძლევს. რესპონდენტების დიდი ნაწილი განათლებასა და ქორწინებას გოგონებისთვის ორ, ერთმანეთთან შეუთავსებელ ცხოვრების გზად ხედავდა, ცოლისა და დედის ვალდებულებების მოსწავლის როლთან შეუთავსებლობის გამო. მათი აზრით, საშუალო ან უმაღლესი განათლების მიღება უფრო მნიშვნელოვანია ბიჭებისთვის და შესაბამისად, ქორწინებისა და განათლების შეთავსება უფრო მისაღები იყო ბიჭების შემთხვევაში.

<sup>25</sup> დამატებითი ინფორმაცია ქართულ ენაზე ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).



საქართველოს სახალხო დამცველის ყოველწლიური ანგარიში ხაზს უსვამს სკოლების მხრიდან თანამშრომლობის ნაკლებობას ნაადრევი ქორწინებების შემთხვევების გამოვლენის კუთხით. მაგალითად, 2018 წელს სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ნაადრევი ქორწინების მხოლოდ 115 შემთხვევა იყო გამოძიებული, მაშინ, როცა ქორწინების მიზეზით სკოლის მიტოვების შემთხვევების რიცხვი ბევრად მაღალი იყო.<sup>26</sup> სახალხო დამცველის მიერ შესწავლილი შემთხვევები ცხადყოფს, რომ სკოლები ხშირად მაღავენ არასრულწლოვან მოსწავლეებს შორის ქორწინების ფაქტებს, არ აღრიცხავენ გოგონების მიერ გაკვეთილების გაცდენას ან მათ მიერ სკოლის მიტოვებას სხვა მიზეზით არეგისტრირებენ. სკოლების მხრიდან მსგავსი პრაქტიკა ართულებს სამართლებრივი ნორმების პრაქტიკაში ამოქმედებას, რომელიც ზრდასრულ ადამიანს უკრძალავს არასრულწლოვანთან სექსუალურ ურთიერთობას.

## რეკომენდაციები

- სკოლის მასწავლებლებს შეუძლიათ ძლიერი მოკავშირეები იყვნენ ბავშვთა ქორწინების პრაქტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში, თუმცა, ამჟამად, ეს რესურსი მნიშვნელოვანწილად გამოუყენებელი რჩება საქართველოში. საჭიროა, უფრო მეტი ძალისხმევით მიმართვა მასწავლებელთა ცნობიერების ასამაღლებლად ნაადრევი ქორწინების მავნე მხარეების შესახებ, როგორც ბიჭების, ასევე გოგონების შემთხვევაში. მნიშვნელოვანია, გაიზარდოს ცნობიერება იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც ყველას აქვს, მიიღოს მონაწილეობა ამ პრაქტიკის პრევენციაში;
- ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა, შესაძლოა, ყველაზე ძლიერი ინსტრუმენტი იყოს ბავშვთა ქორწინების პრაქტიკის წინააღმდეგ. შესაბამისად, უფრო მეტი ძალისხმევით მიმართვა საჭირო იმისთვის, რომ მოსწავლეებს მეტი ინფორმაცია ჰქონდეთ ოჯახის დაგეგმვის გზების, რეპროდუქციული და სექსუალური ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ;
- გინეკოლოგებს მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრიათ მოზარდი გოგონებისთვის რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ საჭირო ინფორმაციის მიწოდებაში. ჯანდაცვის სპეციალისტთა მიკერძოებულმა შეხედულებებმა (როგორც არის ქორწინებამდე სექსის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება) ან მოზარდი გოგონების პრობლემების მიმართ თანაგრძნობის ნაკლებობამ, შესაძლოა, გამოიწვიოს გოგონების გაუცხოება ინფორმაციის ამ მნიშვნელოვანი წყაროსგან და გააღრმავოს რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ცოდნის დეფიციტი;
- არასრულწლოვანთა ქორწინების სამართლებრივი აკრძალვის მიუხედავად, არასრულწლოვანთა შორის ქორწინების რელიგიური ცერემონიები მაინც სრულდება. საჭიროა, რელიგიურ ლიდერებს შორის ცნობადობის გაზრდა ბავშვთა ქორწინების მავნე ეფექტების შესახებ, როგორც ბიჭების, ასევე გოგონების შემთხვევაში, იმისთვის, რომ შემცირდეს არასრულწლოვან გოგონებსა და ბიჭებს შორის რელიგიური ქორწინების სიხშირე;
- კომუნიკაციას და უკეთეს თანამშრომლობას ყველა შესაბამის სექტორს შორის - საგანმანათლებლო დაწესებულებები, სამართალდამცავი ორგანოები, ეკლესია, ჯანდაცვის დაწესებულებები - გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბავშვთა ქორწინების ეფექტური პრევენციის თვალსაზრისით. ინფორმაციის გასაცვლელად და სწორი რეფერირებისთვის, საჭიროა, ამ აქტორებს შორის თანამშრომლობის მდგრადი პლატფორმების შექმნა;
- რეფერირების მექანიზმის გაძლიერება, იმისთვის, რომ მოხდეს მასში ჯანდაცვის სპეციალისტების და სოციალური მუშაკების როლისა და პასუხისმგებლობის გაზრდა

<sup>26</sup> სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში ქართულ ენაზე ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).

**ამოცანა 5.5: კოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა სრული და ეფექტიანი მონაწილეობისა და გადანაცვებითა და მიღების ყველა დონეზე ლიდერობისათვის თანასწორი შესაძლებლობების უზრუნველყოფა**

**ინდიკატორი 5.5.1:** (ა) პარლამენტში და (ბ) ადგილობრივ ხელისუფლებაში ქალთა მიერ დაკავებული ადგილების პროპორციული რაოდენობა

*ინდიკატორის განმარტება: (ა) ეროვნულ პარლამენტებში ქალების მიერ დაკავებული ადგილების პროპორციულობა, საანგარიშო წლის 1 თებერვლის მონაცემებით, ამჟამად იზომება როგორც ადგილების რაოდენობა რომლებსაც იკავებენ ქალი წევრები ეროვნული პარლამენტების ცალკეულ ან ქვედა პალატებში, რაც გამოხატულია როგორც ყველა დაკავებული ადგილის პროცენტულობა.*

**ინდიკატორი 5.5.2:** ხელმძღვანელ თანამდებობებზე ქალების პროპორციული ოდენობა

*ინდიკატორის განმარტება: წინამდებარე ინდიკატორი მიემართება ქალთა პროპორციულობას მმართველობით თანამდებობებზე დასაქმებულ პირთა საერთო რაოდენობაში. ამ ინდიკატორისთვის ორი სხვადასხვა საზომის ერთდროულად გამოყენებაა რეკომენდირებული: ქალთა წილი (სულ) მმართველობაში და ქალთა წილი უფროს და საშუალო მმართველობაში (ამგვარად უმცროსი მმართველობის გამორიცხვით).*


**ზოგადი მიმოხილვა**

**საქართველოსთვის მისადაგებული/ეროვნული ინდიკატორი და სამიზნე მაჩვენებელი**

- 5.5.1. პარლამენტში და ადგილობრივ ხელისუფლებაში ქალთა მიერ დაკავებული ადგილების პროპორციული რაოდენობა. სამიზნე მაჩვენებელი - 30%
- 5.5.1.1. პირდაპირი წესით არჩეული ქალი მერების პროპორციული რაოდენობა. სამიზნე მაჩვენებელი - 30%
- 5.5.1.2. დანიშნული ქალი სახელმწიფო რწმუნებულის პროპორციული რაოდენობა. სამიზნე მაჩვენებელი - 30%
- 5.5.2. ხელმძღვანელ თანამდებობებზე ქალების პროპორციული ოდენობა. სამიზნე მაჩვენებელი - 30%
- 5.5.2.1. ქალების წილი I და II რანგის მოხელის თანამდებობებზე. სამიზნე მაჩვენებელი - 30%
- 5.5.2.2. სასამართლო სისტემაში გადანაცვლებათა მიმღებ პოზიციებზე (პოზიციები რეგიონულ/საქალაქო სასამართლოებში, სააპელაციო სასამართლოებსა და უზენაეს სასამართლოში) ქალთა პროპორციული ოდენობა. სამიზნე მაჩვენებელი - 20%
- 5.5.2.3. განსხვავება ხელფასებში გენდერული ნიშნით: სამიზნე მაჩვენებელი - 20%

**ინდიკატორების სტატუსები:**

**გრაფიკი 3: საარჩევნო წელს პარლამენტში ქალების პროპორციული მაჩვენებელი**



საქართველოში გადანაცვების მიღების პროცესში ქალთა მონაწილეობა ძალიან დაბალია როგორც საკანონმდებლო ასევე აღმასრულებელ ხელისუფლებაში (UNDP, 2018)<sup>27</sup>. ეს ასევე აისახება გენდერული თანასწორობის შესახებ გამოქვეყნებულ საერთაშორისო რეიტინგებში. საქართველო 99-ეა 149 ქვეყანას შორის ქალთა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მონაწილეობის კუთხით. გლობალური გენდერული მაჩვენებლის მიხედვით, საქართველოს 119-ე ადგილი უკავია ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მხრივ (მსოფლიო ეკონომიკის ფორუმი, 2018).<sup>28</sup> 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად, ქალებს პარლამენტში ადგილების 15 % უკავიათ (თავდაპირველად არჩეული იყო 23 ქალი პარლამენტარი, მაგრამ ამჟამად, მხოლოდ 22 მოქმედი პარლამენტის წევრია) და ამ მაჩვენებლით საქართველოს 193 ქვეყანას შორის 138-ე ადგილი უჭირავს.<sup>29</sup> 1991 წელს საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, 2016 წლის 15 პროცენტის მანძილზე ქალთა წილის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია პარლამენტში, თუმცა ბევრად ჩამოუვარდება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ SDG-ის 30%-იან ამოცანას. ექსპერტთა შეფასების მიხედვით, რაიმე მნიშვნელოვანი ზრდა ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდის კუთხით არ არის მოსალოდნელი არსებული საარჩევნო სისტემის, გენდერულად ნეიტრალური საარჩევნო კოდექსისა და საერთო პოლიტიკური ლანდშაფტის პირობებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია არსებული საარჩევნო სისტემა, საქართველოს საარჩევნო კოდექსმა შერეული საარჩევნო სისტემა ჩამოაყალიბა: პარლამენტში არსებული 150 ადგილიდან 73 წევრი გამოიყოფა ერთპიროვნული საარჩევნო ოლქებიდან, ე.წ. „მაჟორიტარული“ საარჩევნო უბნებიდან, მაშინ როცა დარჩენილი ადგილები გამოიყოფა პოლიტიკური პარტიების სიებიდან ეროვნულ პროპორციულ სისტემაში (UNDP, 2018), რაც არ ქმნის ქალების პოლიტიკაში ჩართვის წინაპირობას.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პრეზიდენტი ქალია, ქალთა წარმომადგენლობა აღმასრულებელი დონის პოზიციებზე ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე დაბალია. 12 სამინისტროდან (პრემიერ მინისტრის ჩათვლით) მხოლოდ ოთხია ქალი, ხოლო ცხრა გუბერნატორიდან არც ერთი არ არის ქალი.

ქალები ასევე არასაკმარისად არიან წარმოდგენილნი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში. 2017 წლის მუნიციპალური არჩევნების შემდეგ ოდნავი ზრდა აღინიშნება ქალების წარმოდგენის კუთხით. კერძოდ, ქალები ადგილობრივი საკანონმდებლო ორგანოების (საკრებულო) შემადგენლობის 13.4%-ს შეადგენენ, მაშინ როცა ქალთა წარმომადგენლობა მხოლოდ 11.3% იყო 2014 წელს. თვითმმართველი ქალაქების ყველა მერი კაცია და თვითმმართველი თემების 64 მერიდან მხოლოდ ერთია ქალი (UNDP, 2018). აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 21 წევრიდან მხოლოდ ორია ქალი და სამთავრობო თანამდებობების მხოლოდ 29 პროცენტი უკავიათ ქალებს.

იმის გათვალისწინებით, რომ მმართველ პარტიას მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა აკისრია გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის გაზრდის კუთხით, გენდერული თანასწორობის საკითხზე მომუშავე აქტივისტებმა გააკრიტიკეს მმართველი პარტია, რომელმაც ბოლო ადგილობრივ არჩევნებზე, მერის პოსტზე 61 კანდიდატიდან მხოლოდ 2 ქალი კანდიდატურა წამოაყენა.

ერთადერთ გამონაკლისს ქალების დაბალი წარმომადგენლობის თვალსაზრისით სასამართლო სისტემა წარმოადგენს. ქალები სასამართლო ხელისუფლების 53.7%-ს შეადგენენ (238 მოქმედი მოსამართლიდან 128 ქალია)<sup>30</sup> და საკონსტიტუციო სასამართლოში 9 მოსამართლიდან 4 ასევე ქალია<sup>31</sup>. ქალები უზენაესი სასამართლოს ადგილების 41.6%-ს იკავებენ (12-დან 5). ასეთი მონაწილეობის ერთ-ერთი მიზეზი არის ის რომ კონკურენციის პირობებში, კვალიფიციურ კანდიდატებს შეუძლიათ წარმატების მიღწევა და ასეთის შემთხვევაში ქალები აღწევენ იგივე შედეგებს რასაც კაცები.

<sup>27</sup> ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).

<sup>28</sup> ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).

<sup>29</sup> ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).

<sup>30</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).

<sup>31</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).

## კრიტიკული საკითხი

ქალების პოლიტიკაში ჩართულობის ხელშესაწყობად, 2002 წლიდან საპარტიო სიებში გენდერული კვოტების შემოსაღებად 5 წარუმატებელ მცდელობას ჰქონდა ადგილი (UNDP, 2018). 2014 წელს შეიქმნა სამუშაო ჯგუფი (TF), რომლის მთავარი ამოცანა ქალების პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდა არის. აღნიშნული ჯგუფი დღემდე აგრძელებს ამ მიმართულებით მუშაობას. TF შედგება ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების თუ სამთავრობო წარმომადგენლებისა, და ასევე ქალთა უფლებების დამცველი აქტივისტებისგან. 2015 წელს TF-მა პარლამენტს წარუდგინა საკანონმდებლო წინადადება საპარლამენტო არჩევნებზე პროპორციული სიებისთვის სავალდებულო გენდერული კვოტების შემოღების შესახებ. იურიდიულმა კომიტეტმა პლენარულ სხდომაზე წარდგინის გარეშე უარყო ეს წინადადება. ალტერნატიული საკანონმდებლო ინიციატივა პარლამენტს პარლამენტის ორმა წევრმა წარუდგინა, რომელიც განიხილეს პლენარულ სხდომაზე, თუმცა ვერ მოხერხდა ხმის მიცემის ეტაპამდე მიღწევა. აღსანიშნავია რომ უახლეს ინიციატივაში 37 ათასამდე მოქალაქის ხელმოწერა არის შეგროვებული გენდერული კვოტების მხარდასაჭერად. კანონპროექტის შემოთავაზება იყო 50% კვოტა შემდგომი საპარლამენტო არჩევნებისთვის, რომელიც გულისხმობს რომ სიაში მყოფი ყოველი მეორე ადამიანი უნდა იყოს სხვადასხვა სქესის წარმომადგენელი. საკანონმდებლო ინიციატივა სამუშაო ჯგუფმა წარუდგინა პარლამენტს, რომელიც უარყოფილ იქნა 2018 წელს. სამუშაო ჯგუფი, ისევე როგორც კანონპროექტის მხარდამჭერები, კანონის ახალ ვერსიაზე მუშაობენ. კანონის ერთ-ერთი მხარდამჭერის მოსაზრებით, საჭიროა პოლიტიკური ნება კანონის დასამტკიცებლად და არსებულ ვითარებაში სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს აღარ რჩებათ სხვა გამოსავალი, გარდა იმისა რომ საზოგადოებრივი ზეწოლა გაზარდონ გადაწყვეტილების მიმღებ პირებზე.

საქართველოში პოლიტიკაში ქალების ჩართულობის დაბალი დონეს რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავს. უპირველეს ყოვლისა, ღრმად ფესვგადგმული პატრიარქალური ფასეულობები ქალის როლს შინ შრომის დონეზე საზღვრავს. აღნიშნულს ამტკიცებს NDI-ის მიერ ჩატარებული პოლიტიკაში ქალების მონაწილეობაზე ხალხის დამოკიდებულების კვლევის შედეგებიც. გამოკითხული რესპონდენტების 57% მიიჩნევს, რომ ოჯახთან დაკავშირებული პასუხისმგებლობები ყველაზე დიდ ბარიერს წარმოადგენს ქალებისთვის რომ ჩაერთონ პოლიტიკაში. სხვა ბარიერებს შორის დასახელდა ფართოდ გავრცელებული სტერეოტიპები, რომ პოლიტიკაში ქალის ადგილი არ არის, ასევე გამოიკვეთა სოციალური და ფინანსური მხარდაჭერის ნაკლებობა (2014).<sup>32</sup> GYLA-ის მიერ გამოქვეყნებული კვლევის მიხედვით (2017),<sup>33</sup> კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი არის პოლიტიკური პარტიების ნების ნაკლებობა რომ წარმოადგინონ გენდერულად დაბალანსებული საარჩევნო სიები. ექსპერტების აზრით, ვერცერთი ფაქტორი ვერ იქნება ისეთი ეფექტური ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ხელშეწყობის კუთხით, როგორც პოლიტიკური პარტიების იდეოლოგია და პოლიტიკური კულტურა ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის გაზრდისთვის. ერთ-ერთი ექსპერტის აზრით, პოლიტიკურ პარტიებს უდიდესი როლი და პასუხისმგებლობა აკისრიათ რომ მხარდაჭერა გამოუცხადონ ქალებს, რომლებსაც ფინანსური და სოციალური რესურსები არ გააჩნიათ, თუმცა აქვთ კომპეტენციები. ასეთი მხარდაჭერის არსებობის შემთხვევაში უფრო მეტი ქალი დაინტერესდებოდა და უფრო მეტს ექნებოდა მოტივაცია აქტიურად ჩართულიყო პოლიტიკაში, რაც ამ მიმართულებით პოზიტიურ ცვლილებებს გამოიწვევდა.

მკვლევარები და აქტივისტები ამტკიცებენ, რომ ქალების პოლიტიკაში მონაწილეობა თავისთავად ვერ გაიზრდება არსებული პოლიტიკური სისტემის პირობებში, ამიტომაც საჭიროა გარკვეული ხელოვნური ბიძგები. წინა არჩევნებმა დაადასტურა, რომ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა ხელს არ უწყობს ქალების ჩართულობის ზრდას. გარდა ამისა, არ არსებობს ქალების პოლიტიკური მონაწილეობის წახალისების გზები (კერძოდ, საარჩევნო სიებში ქალების ნაკლებობა) არც ფინანსური თუ სოციალური მხარდაჭერა ქალებისთვის, რაც თავისთავად ვერ გაზრდის ქალების წარმომადგენლობას პოლიტიკაში.<sup>34</sup> მოცემული სექციის ბოლოს წარმოდგენილია მთელი რიგი რეკომენდაციებისა, რომლებიც მეორადი მონაცემების ანალიზისა თუ ექსპერტების მოსაზრებების

<sup>32</sup> კვლევის ანგარიში ქართულ ენაზე ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).

<sup>33</sup> კვლევის ანგარიში ინგლისურ ენაზე ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).

<sup>34</sup> ანგარიში ინგლისურ ენაზე ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).

შეჯერებით შემუშავდა.



**ინდიკატორი 5.5.2.3:** განსხვავება ხელფასებში გენდერული ნიშნით.

(სამიზნე მაჩვენებელი - 20%)

შრომითი ანაზღაურების გენდერული განსხვავება ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამონვევას წარმოადგენს მსოფლიოში (ILO, 2018).<sup>35</sup> ამ მხრივ, არც საქართველო წარმოადგენს გამონაკლისს, სწორედ ამიტომ საქართველოს მთავრობამ SDG 5.5.1 ამოცანების ნაციონალიზაციის ფარგლებში, აიღო ვალდებულება განახორციელოს ქმედითი ნაბიჯები ანაზღაურების გენდერული განსხვავების შემცირების მიზნით. საერთაშორისო რეიტინგების მიხედვით, საქართველო ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებლის მქონე ქვეყანაა თანაბარი ანაზღაურების მიღწევის კუთხით და საშუალოდ, ქალები კვლავ

კაცებზე ნაკლებ ანაზღაურებას იღებენ. 2018 წლის გლობალური გენდერული განსხვავებების შესახებ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანგარიშის მიხედვით, საქართველო 0.656 ქულით, მსოფლიო მასშტაბით 149 ქვეყანას შორის 85-ე ადგილზეა ქალთა ეკონომიკურ მონაწილეობის მხრივ.

საქსტატის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, 2019 წლის პირველ მეოთხედში საშუალო შემოსავალი (ხელფასი) იყო 876.1 ლარი ქალების შემთხვევაში და 1294.1 ლარი კაცების შემთხვევაში. შემოსავლის ყოველწლიურმა ზრდამ კაცებისთვის 58.0 ხოლო ქალებისთვის 22.4 ლარი შეადგინა. ამ მონაცემებზე დაყრდნობით, პროცენტული სხვაობა ხელფასებს შორის 38.5%-ია. ანგარიშის მიხედვით, სექტორების უმრავლესობაში კაცების საშუალო ყოველთვიური შემოსავალი ქალებთან შედარებით გაცილებით მაღალია. ეს მონაცემი ეფუძნება დაქირავებული პირების ხელფასებს და არ მოიცავს იმ პირების ხელფასებს, რომლებიც დასაქმებულები არიან არაფორმალურად- კონტრაქტის გარეშე ან აქვთ უშტატო თანამშრომლის სტატუსი. ამ მონაცემების ინტერპრეტაციისთვის აღსანიშნავია რომ 2017 წელს, ქალების მხოლოდ 58% იყო ეკონომიკურად აქტიური, მაშინ როდესაც კაცების 78% იყო ეკონომიკურად აქტიური.<sup>36</sup>

იგივე ტენდენცია შეინიშნება CRRC-ის მიერ ჩატარებულ კვლევის შედეგებში, რომელიც ეხება საქართველოში ქალთა ეკონომიკურ აქტიურობასა და დასაქმებას (2018). შედეგების მიხედვით, ქალები მნიშვნელოვნად ნაკლებს გამოიმუშავენ ვიდრე კაცები<sup>37</sup>. კერძოდ, ქალების საშუალო ყოველწლიური შემოსავალი არის 1,830 აშშ დოლარი (4,517 ლარი) კაცების მიერ გამოიმუშავებულ 3,110 აშშ დოლართან (7,681 ლარი) შედარებით, რაც ანაზღაურების განსხვავების 41% -ზე მიუთითებს. მონაცემები ადასტურებს, რომ თანასწორი ანაზღაურება მწვავე პრობლემაა საქართველოში, განსაკუთრებით, თუ საქართველოში არსებულ მონაცემებს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მაჩვენებლებს შევადარებთ. 2017 წელს, ევროკავშირის ქვეყნებში, ქალთა საათობრივი დარიცხული შემოსავალი საშუალოდ 16%-ით ნაკლები იყო კაცების შემოსავალთან შედარებით (ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის 26%-ია)<sup>38</sup>.

გენდერის ექსპერტები და მკვლევარები აღნიშნავენ, რომ პირველ რიგში აუცილებელია საქართველოში შემუშავდეს ანაზღაურების განსხვავების გაბოშვის საერთაშორისოდ აპრობირებული მეთოდოლოგია, ამჟამად არსებულ სტანდარტებს გარკვეული ხარვეზები აქვს. თავის მხრივ, აღნიშნული მეთოდოლოგიით მოპოვებული მონაცემების გამოყენება უნდა მოხდეს შესაბამისი პოლიტიკის შემქმნელების მიერ. ექსპერტების მოსაზრებით, ანაზღაურებაში არსებული გენდერული განსხვავებები როგორც პრობლემა აღიარებულია სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების მიერ,

<sup>35</sup> ანგარიში ინგლისურ ენაზე ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).  
<sup>36</sup> ანგარიში ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).  
<sup>37</sup> ანგარიში ინგლისურ ენაზე ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).  
<sup>38</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).

თუმცა, არ არსებობს რესურსი და სურვილი იმისა, რომ შეიქმნას პრობლემის გადაჭრაზე მიმართული სამართლებრივი და ფუნქციური ჩარჩოები. გარდა ამისა, კვლევაში მონაწილე ექსპერტის მოსაზრებით, ამ მიმართულებით სასამართლო პრეცედენტების ნაკლებობაა, ამჟამად არ არსებობს სასამართლო საქმე ხელფასებს შორის გენდერულ სხვაობაზე, რომლის გამოყენებაც შესაძლებელი იქნებოდა ლობირების ან ცნობიერების ამაღლების მიზნით. სასამართლო საქმეების არ არსებობა შესაძლოა შეტყვევებდეს იმაზე, რომ საკანონმდებლო დონეზეც არის გარკვეული პრობლემები. აღსანიშნავია, რომ ექსპერტების მიერ მომზადებულია მთელი რიგი შეთავაზებები საქართველოს შრომის კოდექსში ცვლილებების შესატანად, რომელიც მიმართული იქნება ხელფასებს შორის გენდერული სხვაობის შემცირებისკენ. არსებული მონაცემები მიუთითებს, რომ საქართველოს მთავრობის მიერ დასახული ამოცანის მიღწევა 2030 წლისთვის ნაკლებად სავარაუდოა მიმდინარე ტემპის გათვალისწინებით და საჭიროა დაუყოვნებლივი და ქმედითი ნაბიჯების გადადგმა SDG ამოცანის დროული შესრულებისთვის.

## **რეკომენდაციები:**

- ქალების პოლიტიკაში მონაწილეობის გაზრდა დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე, რომელთაგან ერთ-ერთი უპირველესია პოლიტიკური პარტიების შიდა კულტურა გენდერული თანასწორობის მიღწევის კუთხით. პოლიტიკური პარტიების მზაობა, რომ შეიქმნას გენდერულად დაბალანსებული საარჩევნო სიები განსაზღვრავს ქალების პოლიტიკაში მონაწილეობის დონეს, შესაბამისად, კანდიდატების სიების შემუშავების პროცესის გამჭვირვალობა ეფექტურ გამოსავლად შეიძლება ჩაითვალოს. გარდა ამისა, პოლიტიკურ პარტიებს უნდა ჰქონდეთ პოლიტიკა ქალების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, რაც მოიცავს ქალი პოლიტიკოსების მოზიდვის მთელ რიგ ტაქტიკებს. ვინაიდან, ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორი ქალებისთვის ფინანსური და სოციალური რესურსების არ ქონაა, პოლიტიკურმა პარტიებმა სწორედ ქალებში უნდა ჩადონ ინვესტიცია და გამოუცხადონ მხარდაჭერა პოლიტიკაში მათი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.
- აუცილებელია გენდერული კვოტების კანონპროექტის მიმართ შენარჩუნდეს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი, რაც თავის მხრივ მოახდენს გადაწყვეტილების მიმღებ პირებზე საზოგადოების მხრიდან ზეწოლას პოლიტიკური ნების შესაქმნელად.
- საჭიროა ფემინისტ აქტივისტებს, საზოგადოებასა და პოლიტიკის შემქმნელებში გაიზარდოს ცნობიერება ანაზღაურების გენდერული განსხვავების შესახებ. ვინაიდან დაბალი ცნობიერება ერთი მხრივ აფერხებს პროგრესს და მეორე მხრივ არ ქმნის საზოგადოების ინტერესს საკითხის გადასაჭრელად.

## **ამოცანა 5.6. 2030 წლამდე, სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დასვაზე და რეპროდუქციულ უფლებებზე საყოველთაო წვდომის უზრუნველყოფა, მოსახლეობისა და განვითარების საკითხებზე საერთაშორისო კონფერენციის სამოქმედო პროგრამისა და კეპინის სამოქმედო პლატფორმის, ასევე მათი გადასინჯვის მიზნით გაპარტული კონფერენციების დასკვნითი დოკუმენტების შესაბამისად**

**ინდიკატორი 5.6.1.** 15-49 წლის იმ ქალთა პროპორციული ოდენობა, ვინც სექსუალურ ურთიერთობებთან, კონტრაცეპტივების გამოყენებასთან და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებით, საკუთარ, ინფორმირებულ გადაწყვეტილებას იღებს.

*ინდიკატორის განმარტება: 15-49 წლის იმ ქალების წილი (დაქორწინებულები ან კავშირში მყოფნი) რომლებიც თავად იღებენ გადაწყვეტილებას სამივე შერჩეულ საკითხზე, ანუ შეუძლიათ უარი განაცხადონ ქმართან ან პარტნიორთან სქესობრივი კავშირის დამყარებაზე თუ ამის სურვილი არ აქვთ; გადაწყვეტიონ ისარგებლონ თუ*

არა კონტრაცეპციით; და თავად მიიღონ გადაწყვეტილება ჯანმრთელობაზე ზრუნვის შესახებ. მხოლოდ ის ქალები, რომლებიც „დიახ“ პასუხს სცემენ სამივე კომპონენტზე მიიჩნევიან ქალებად, რომლებიც საკუთარ, ინფორმირებულ გადაწყვეტილებას იღებენ სექსუალურ ურთიერთობებთან, კონტრაცეპტივების გამოყენებასთან და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებით.

**ინდიკატორი 5.6.2.** ეროვნული კანონების და რეგულაციების არსებობა, რომლებიც უზრუნველყოფს 15-49 წლის ქალებისათვის სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვაზე, ინფორმაციასა და განათლებაზე ხელმისაწვდომობას

ინდიკატორის განმარტება: მდგრადი განვითარების მიზნის (SDG) ინდიკატორი 5.6.2 ცდილობს შეაფასოს რამდენად აქვთ ქვეყნებს ეროვნული კანონები და რეგულაციები, რომლებიც თავის მხრივ უზრუნველყოფენ 15 და უფრო მაღალი ასაკის მქონე ქალებისა და კაცების სრულ და თანაბარ წვდომას სქესობრივ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობის ზრუნვაზე, ინფორმაციასა და განათლებაზე.

## ზოგადი მიმოხილვა

საქართველოში სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების (SRHR) მდგომარეობის ანალიზისას, მნიშვნელოვანია ერთმანეთისგან გავმიჯნოთ ამ საკითხის ორი ასპექტი. რეპროდუქციული ჯანმრთელობა კვლევისა და პოლიტიკის დაგეგმვის საგანი იყო ბოლო ათწლეულის მანძილზე, მაშინ, როცა სქესობრივი ჯანმრთელობა, უმეტესწილად, უგულებელყოფილი იყო საჯარო სფეროში. ექსპერტების მტკიცებით, პოლიტიკის შემქმნელებს საკითხის კომპლექსურობა ნაკლებად აქვთ გააზრებული და საჯარო ინტერესი, ძირითადად, მხოლოდ რეპროდუქციასთან პირდაპირ კავშირში მყოფ საკითხებზეა კონცენტრირებული, ისეთებზე, როგორცაა დედისა და ბავშვის ჯანმრთელობა, ოჯახის დაგეგმვა, ორსულობა, მშობიარობა და მშობიარობის შემდგომი მოვლა. სექსუალური ჯანმრთელობა, როგორც რეპროდუქციული პროცესისგან განცალკევებული საკითხი, კვლავ ტაბუირებულია და უმეტესად, არ ფიგურირებს კანონმდებლობაში, ისევე, როგორც საზოგადოებრივ განხილვებში.<sup>39</sup> ექსპერტები ხაზს უსვამენ კანონმდებლობაში და პოლიტიკურ დისკურსში სწორი ტერმინების გამოყენების აუცილებლობას, ჯანსაღი სექსუალური ცხოვრების ხელშესაწყობად საზოგადოებაში. თუმცა, სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო, „სექსუალური განათლების“ წინააღმდეგობრივი ტერმინით გამოწვეული საზოგადოებრივი უკმაყოფილების თავიდან ასარიდებლად. ფრთხილმა მოქმედებამ და კომპრომისზე წასვლის საჭიროებამ პოლიტიკის შემქმნელები აიძულა სკოლის პროგრამაში ტერმინი „სქესობრივი განათლება“ შეეცვალათ „ჯანსაღი ცხოვრების სტილით“. მიუხედავად ამისა, საგნის საშუალო სკოლებში შეტანას წინააღმდეგობა მოყვა როგორც რიგი პოლიტიკოსების, ასევე, ფართო საზოგადოების მხრიდან. პროტესტის მიზეზი იყო ის გავრცელებული წინარწმენები, რომლის თანახმადაც, ამგვარი განათლების მიღება ადრეულ ასაკში სექსუალური აქტივობის გაზრდას ახალისებს.

სახალხო დამცველის 2018 წლის სპეციალური ანგარიში საქართველოში რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ, ხაზგასმით აღნიშნავს მოსახლეობაში დაბალი ცნობადობის პრობლემის კონტრაცეფციის სხვადასხვა მეთოდის არსებობისა და მათი გამოყენების თაობაზე. ამავედროულად, სახალხო დამცველის 2018 წლის ყოველწლიური ანგარიში გამოყოფს რიგ საჭირობო საკითხებს, რომლებიც ქართველი ქალების რეპროდუქციულ უფლებებთან არის დაკავშირებული. ოჯახის დაგეგმვის მომსახურებები არ არის სრულად ინტეგრირებული პირველადი ჯანდაცვის სისტემაში და მთავრობაში არ არსებობს გამოკვეთილი ერთიანი და თანმიმდევრული მიდგომა ამ მიმართულებით განათლებისა და მომსახურების მიწოდების თვალსაზრისით. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა არ მოიცავს ოჯახის დაგეგმვის მომსახურებებსა და კონტრაცეპტივებს და ეს უკანასკნელი გაიცემა ექიმის დანიშნულების საფუძველზე, რაც მათ ხელმისაწვდომობას

<sup>39</sup> ამაშუკელი მ. და ჯაფარიძე ე. 2018წ. ქალთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები საქართველოს კონტექსტში. ანგარიში ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).

ამცირებს. სახალხო დამცველის დოკუმენტი გამოყოფს დამატებით ხარვეზებს სოფლად ოჯახის დაგეგმვის მომსახურების ხელმისაწვდომობის კუთხით, ვინაიდან ოჯახის დაგეგმვა არ ითვლება ამბულატორიული მომსახურების პაკეტის ნაწილად.<sup>40</sup> გარდა ამისა, ექსპერტები ყურადღებას ამახვილებენ სოფლად პირველადი ჯანდაცვის პროფესიონალებს შორის ინფორმირებულობის დაბალ დონეზე სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის მომსახურებების საკითხზე. მიუხედავად იმისა, რომ მათი კომპეტენციის ფარგლებშია ადამიანებს გაუწიონ კონსულტაცია ოჯახის დაგეგმვისა და კონტრაცეპტივების გამოყენების თაობაზე, ისინი ძირითადად არჩევენ პაციენტები გადაამისამართონ გინეკოლოგებთან, რაც ზრდის პაციენტის ხარჯებს და ზღუდავს ინფორმაციასა და მომსახურებებზე წვდომას. ოჯახის დაგეგმვის მექანიზმებზე წვდომის ნაკლებობას შედეგად მოაქვს სქესობრივად გადამდები დაავადებებისა და აბორტის მაღალი მაჩვენებლები საქართველოში, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა ქვეყნის ჯანდაცვის სისტემისთვის.<sup>41</sup>

ამ დაბრკოლებებთან ერთად, სოფლებში საავადმყოფოებისა და ქალთა კონსულტაციის ცენტრების ნაკლებობა, ისევე, როგორც მედიკოსებს შორის პროფესიონალიზმის დაბალი ხარისხი დამატებით ზღუდავს რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციასა და ხარისხიან მომსახურებებზე მოსახლეობის წვდომას. საქართველოს ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ექიმსა და პაციენტს შორის კონფიდენციალურობა ხშირად ირღვევა ქართულ რეალობაში, ვინაიდან ბევრი ექიმი პაციენტთან კონსულტაციის დროს ვერ უზრუნველყოფს უსაფრთხო და ინტიმურ გარემოს. განსაკუთრებულ აღნიშვნას საჭიროებს ის პრობლემები, რომელთა წინაშეც არასრულწლოვანი გოგონები დგანან, როდესაც ოჯახის დაგეგმვის მომსახურებების მიღებას ცდილობენ ან სურთ, არაქირურგიული ჩარევის გზით ნაადრევად ორსულობის შეწყვეტა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, 14 წლის ან 14 წელზე უფროს პაციენტებს უფლება აქვთ, მიიღონ გარკვეული სამედიცინო მომსახურებები დამოუკიდებლად, მედიკოსები ხშირად ატყობინებენ პაციენტის მშობლებს პაციენტის სურვილის საწინააღმდეგოდ და მათგან ელიან დასტურს მომსახურების განევის თაობაზე. აღნიშნული პრაქტიკა ზღუდავს რეპროდუქციული ჯანდაცვის ხელმისაწვდომობას არასრულწლოვანი გოგონებისთვის და უბიძგებს მათ, არაკანონიერი გზებით მოიპოვონ სასურველი მომსახურება, რაც მათ ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს რისკის ქვეშ აყენებს. გარდა ამისა, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში ხაზს უსვამს უსაფრთხო აბორტის მომსახურებაზე წვდომის პრობლემას. ბევრ შემთხვევაში, მედიკოსები ზღუდავენ ქალების უფლებას უსაფრთხო აბორტზე, ცდილობენ, გადაარწმუნონ ისინი და შეაცვლევინონ აბრი. რიგ შემთხვევებში მცდარ ინფორმაციასაც კი აწვდიან მათი სამედიცინო მდგომარეობის შესახებ და აბორტის გაკეთებას ჯანმრთელობისთვის უკიდურესად სახიფათო ალტერნატივად უსახავენ.

კიდევ ერთი სფერო, რომელიც პოლიტიკის განხილვებში, ხშირად, ყურადღების მიღმა რჩება, დაკავშირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების რეპროდუქციულ და სექსუალურ უფლებებთან. არ არსებობს საერთო მიდგომა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მიეწოდოს საჭირო სექსუალური და რეპროდუქციული განათლება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს. არსებული პრაქტიკა დისკრიმინაციულია და ზღუდავს შშმ პირების რეპროდუქციულ უფლებებსა და მომსახურებებზე წვდომას.<sup>42</sup>

## კრიტიკული საკითხი

კვლევები წარმოაჩენს მდებარეობითი სქესის მობარდთა შორის რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და კონტრაცეპციის თანამედროვე მეთოდების თაობაზე ინფორმაციის ნაკლებობას. ახლად შემუშავებულ ინიციატივას სქესობრივი განათლების სკოლის პროგრამაში შეტანის თაობაზე მძაფრი კრიტიკა მოყვა როგორც ფართო საზოგადოების ასევე უშუალოდ კანონმდებლების მხრიდან. შედეგად, პარლამენტის წევრმა გააკეთა განცხადება, რომ ახალგაზრდებისთვის უნდა შეიზღუდოს წვდომა რეპროდუქციულ განათლებაზე, საკანონმდებლო ცვლილების შეტანის გზით, რაც მშობლებს საშუალებას მისცემს,

<sup>40</sup> გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები. ანგარიშის პირველი ტომი ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).

<sup>41</sup> UNFPA. 2017წ. პოლიტიკის მოკლე შინაარსი: უფასო კონტრაცეპტივების ღირებულება. ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).

<sup>42</sup> სახალხო დამცველის ოფისი. 2018წ. ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებებზე და თავისუფლებაზე. ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე [ბმულზე](#).



უარი თქვან მათი შვილებისთვის სქესობრივი განათლების მიწოდებაზე. აღსანიშნავია, რომ ქართველ მოზარდებში რეპროდუქციული განათლების ნაკლებობა არაპროპორციულად ახდენს გავლენას გოგონებზე, ვინაიდან გოგონები უფრო მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან არასასურველი ორსულობისა და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების მხრივ.

სქესობრივი განათლების გარშემო ინფორმაციული ვაკუუმის გამო, სამოქალაქო საზოგადოების აქტორები გამოვიდნენ ინიციატივით, მოზარდებს და სხვა მონყვლად ჯგუფებს შესთავაზონ საჭირო საგანმანათლებლო რესურსები. ერთ-ერთი ასეთი ინიციატივის ავტორი იყო განათლებისა და შრომის ასოციაცია, რომლის ფარგლებშიც ხატია ახალაიამ მოამზადა YouTube ვიდეოები სქესობრივი განათლების შესახებ. ვიდეოს მიზანი იყო, ხელმისაწვდომი გაეხადა ეს ინფორმაცია იმ ჯგუფებისთვის, რომელთაც არ გააჩნიათ რეპროდუქციული და სექსუალური ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის მოპოვების სხვა გზები (მოზარდები, ეთნიკური უმცირესობები, სოფლის მოსახლეობა). ხატია ახალაიას მიერ გამოქვეყნებულ ვიდეოებს საზოგადოების აღშფოთება მოჰყვა, რაც მუქარის შემცველ შეტყობინებებში გადაიზარდა.<sup>43</sup>

## რეკომენდაციები

- საჭიროა, ჯანდაცვის წარმომადგენლები (განსაკუთრებით სოფელში მოღვაწე ექიმები და გინეკოლოგები) მგრძობიარენი იყვნენ სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობასა და უფლებებთან დაკავშირებული საკითხების მიმართ. საჭიროა, ჩატარდეს ტრენინგები და ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიები ჯანდაცვის მიმწოდებლებს შორის, პაციენტების მიმართ ინფორმირებული, გენდერულად სენსიტიური, კონფიდენციალური და განსჯისგან თავისუფალი მოპყრობისთვის;
- ჯანსაღი სექსუალური ცხოვრების ხელშეწყობა მთავრობის ჯანდაცვის, განათლებისა და ახალგაზრდების სტრატეგიების ნაწილი უნდა გახდეს. შესაბამის სამინისტროებს შორის მჭიდრო კოორდინაცია ფორმალური და არაფორმალური არხების გახსნას შეუწყობს ხელს, რაც, თავის მხრივ, ქართველ მოზარდებში ჯანსაღი სქესობრივი ცხოვრების პოპულარიზაციას დაეხმარება;
- რეპროდუქციული და სექსუალური ჯანმრთელობა უნდა შედიოდეს საყოველთაო ჯანდაცვის პაკეტში, ოჯახის დაგეგმვის მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად ყველაზე მონყვლადი ჯგუფებისთვის, მათ შორის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონის მქონე ქალებისთვის და ეთნიკური უმცირესობებისთვის;
- აუცილებელია, ფართომასშტაბიანი სოციალური კამპანიის წარმოება რეპროდუქციული და სექსუალური ჯანმრთელობის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად და თანამედროვე კონტრაცეპტიულ მეთოდებზე ხელმისაწვდომობის გასაზრდელად. ჯანსაღი სქესობრივი ცხოვრების მხარდაჭერისას, სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოში არსებულ რეალობას და იმ ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებს, რომელიც ტერმინ „სექსუალური უფლებების“ გარშემო არსებობს. კამპანიის განსაკუთრებულ სამიზნე აუდიტორიას უნდა წარმოადგენდნენ მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონის მქონე მონყვლადი პირები და ეთნიკური უმცირესობები. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი ჩაბმული უნდა იყოს საინფორმაციო კამპანიაში საქართველოს მოსახლეობისთვის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გასაზრდელად;
- რეპროდუქციული და სექსუალური განათლება უნდა შედიოდეს სკოლის პროგრამაში ინფორმაციაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით მოზარდთა მონყვლადი ჯგუფისთვის.

<sup>43</sup> დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).

## **ამოცანა 5.ა: ზომების განხორციელება და ჩვეულებითი პრაქტიკის შეცვლა ეკონომიკურ რესურსებზე ქალების თანასწორი უფლებების უზრუნველყოფის მიზნით. ასევე, მინისა და სხვა ფორმის ქონების და ემპაჯიდრეობის ფლობაზე და კონტროლზე**

**ინდიკატორი 5.ა.1:** ა) სოფლად მცხოვრები იმ მოსახლეობის პროპორციული ოდენობა სქესის მიხედვით, რომელსაც აქვს საკუთრების ან გარანტირებული უფლებები სასოფლო-სამეურნეო მიწაზე, ბ) სასოფლო-სამეურნეო მიწაზე საკუთრების ან გარანტირებული უფლების მქონე მოსახლეობას შორის ქალთა წილი

*ინდიკატორის განმარტება: მინის მფლობელობა მინის შეძენის, გამოყენებისა და გადაცემის კანონიერად აღიარებული უფლებაა. კერძო საკუთრების სისტემებში, ეს არის უფლება, რომელიც დაკავშირებულია უძრავ ქონებაზე საკუთრების უპირობო უფლებასთან. თუმცა, იმ სისტემებში სადაც მინა სახელმწიფოს მფლობელობაშია, ტერმინი „მინის მფლობელობა“ გულისხმობს უფლებების ფლობას, რომელიც დაკავშირებულია კერძო საკუთრების სისტემაში არსებულ მფლობელობასთან - მაგალითად, გრძელვადიანი იჯარით სარგებლობა, ფლობა, ქირავნობა ან სახელმწიფოს მიერ მინიჭებული უფლებებით სარგებლობა, ჩვეულებრივ რამდენიმე ათწლეულის მანძილზე, გადაცემის უფლებით. ამ კონტექსტში, უფრო მიზანშეწონილია მინათმფლობელობის უფლებებზე საუბარი.*

**ინდიკატორი 5.ა.2:** საკანონმდებლო ბაზის (მათ შორის ტრადიციული სამართალი) არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს ქალებისათვის თანასწორ უფლებებს მინის ფლობაზე და/ან კონტროლზე.

*ინდიკატორის განმარტება: ინდიკატორი 5.ა.2 აკვირდება იმ მასშტაბს, რომლითაც სამართლებრივი ჩარჩო (ჩვეულებრივი სამართლის ჩათვლით) გარანტიას იძლევა ქალების თანაბარ უფლებებზე მინის მფლობელობის ან/და კონტროლის თვალსაზრისით.*

### **ინდიკატორის სტატუსი:<sup>44</sup>**

2018 წელს საქსტატმა ჩაატარა აქტივების ფლობის და მენარმეობის პილოტური კვლევა<sup>45</sup> კვლევის მიზანი იყო უძრავი ქონების, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო მიწის მფლობელობის შესწავლა. მიუხედავად იმისა, რომ პილოტურ კვლევას რიგი შეზღუდვები გააჩნია, კვლევის მონაცემები ერთადერთი სანდო წყაროა მოცემული SDG ინდიკატორის შესახებ ინფორმაციის გასაანალიზებლად. კვლევის ფარგლებში, განისაზღვრა განსხვავება გეპირი განცხადების საფუძველზე არსებულ მფლობელობასა და დოკუმენტებით დადასტურებულ მფლობელობას შორის.<sup>46</sup> ეს უკანასკნელი მფლობელობაზე იურიდიული უფლების გარანტიას იძლევა. კვლევის თანახმად, უძრავი ქონების სფეროში ყველაზე ხშირია საცხოვრებელი ადგილების ფლობის შემთხვევები. თუმცა ძირითადად საცხოვრებელ ფართს ფლობენ კაცები და არა ქალები. კაცების დაახლოებით 80% და ქალების 76% აცხადებს რომ ფლობენ საცხოვრებელ ადგილს, მაშინ როცა კაცების 46% და ქალების 33% არის დოკუმენტაციით დამტკიცებული მფლობელი. გენდერული სხვაობა ყველაზე აშკარაა სასოფლო-


<sup>44</sup> ინდიკატორები კლასიფიცირდება როგორც IIb კლასის ინდიკატორები, რაც იმას ნიშნავს, რომ (i) ქვეყნების მონაცემების მიღება ჯერ არ ხდება რეგულარულად და (ii) მონაცემთა შეგროვების და მოსალოდნელი გამოთვლის მითითებები და მეთოდოლოგიები მუშავდება.

<sup>45</sup> ანგარიში ინგლისურ ენაზე ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).

<sup>46</sup> გეპირი გადმოცემის საფუძველზე არსებული მფლობელობა რესპონდენტის აღქმაზე დამოკიდებული და ამ სახის მფლობელობა გამოხატულია, როცა პიროვნება ან პიროვნებები საკუთარ თავს თვლის/თვლიან უძრავი ქონების მფლობელად ან აღიარებულნი არიან მფლობელებად რწმუნებული რესპონდენტის მიერ. ეს არის იმისდა მიუხედავად მათი სახელები არის თუ არა უძრავი ქონების შესახებ არსებულ დოკუმენტებში მოხსენიებული. დოკუმენტირებული მფლობელობა პირიქით, მიუთითებს იმაზე, რომ პიროვნებას დასაბუთებული მფლობელობა გააჩნია და შეუძლია კანონიერად შეასრულოს ან მოითხოვოს საკუთარი უფლებები და ჩვეულებრივ უფრო დაცულია კანონით ვიდრე ის მფლობელები რომელთა სახელიც არ ფიგურირებს მფლობელობის დოკუმენტებში.

სამეურნეო მიწის ფლობის შემთხვევაში, სადაც კაცები ორჯერ მეტად არიან დოკუმენტაციით დაფიქსირებულები მფლობელებად ვიდრე ქალები.<sup>47</sup> 14 პროცენტიანი გენდერული სხვაობა აღინიშნება სასოფლო-სამეურნეო მიწის სიტყვიერად გადმოცემული მფლობელობის შემთხვევაში და 18 პროცენტიანი გენდერული სხვაობა აღინიშნება დოკუმენტირებული მფლობელობის შემთხვევაში. სასოფლო-სამეურნეო მიწის მფლობელობა უფრო მაღალია სოფლად, ვინაიდან გეოგრაფიული ადგილმდებარეობიდან გამომდინარე სოფლის მეურნეობა საარსებო საშუალების ერთ-ერთი მთავარი წყაროა. საერთო ჯამში, გენდერული განსხვავება უფრო მეტად სოფლად არის გამოხატული.

**გრაფიკი 4. უძრავი ქონების ფლობა სქესისა და მფლობელობის ტიპის მიხედვით**



**ცხრილი 2: სასოფლო-სამეურნეო მიწის მფლობელობის შემთხვევები სქესის, ადგილმდებარეობისა და მფლობელობის ტიპის მიხედვით (%)**

სქესი	დოკუმენტირებული			სიტყვიერად გადმოცემული		
	სასოფლო	ქალაქის	სულ	სასოფლო	ქალაქის	სულ
<b>კაცები</b>	45.2	18.2	30.6	72.4	26.8	47.7
<b>ქალები</b>	20.3	6.9	12.6	57.0	17.2	34.1

საპილოტე კვლევის თანახმად, უძრავი ქონების მფლობელების თითქმის 70% დაოჯახებულია. შედეგები ასევე აჩვენებს, რომ სხვადასხვა ტიპის ქონების მფლობელი ქალების დიდი რაოდენობა (17%-28%) ქვრივი, დაშორებული ან განქორწინებულია. კაცი მფლობელების თითქმის 20% არასდროს ყოფილა დაოჯახებული. ეს მიუთითებს ქონების ფლობასა და ქორწინებას შორის ურთიერთკავშირზე ქალების შემთხვევაში, მაგრამ არა კაცების შემთხვევაში. მსგავსი განათლების დონის მქონე კაცებსა და ქალებს არათანაბარი სტატუსი აქვთ მფლობელობის კუთხით და ეს უთანასწორობა კიდევ უფრო გამოკვეთილია დოკუმენტირებულ მფლობელობაში.

შედეგები ასევე გვიჩვენებს, რომ მამრობითი სქესის მფლობელთა მნიშვნელოვან ნაწილს თავიანთი ქონება მიღებული აქვს ოჯახის წევრებისგან და არაოჯახის წევრებისგან გადაცემის ან ჩუქების გზით, მაშინ როცა ქალებს ძირითადად შექმნილი აქვთ ქონება საქორწინო სამართლისა თუ წესების საშუალებით. მემკვიდრეობით მიღება და გადაცემის თუ ჩუქების შემთხვევები კაცების სასარგებლოდ

<sup>47</sup> საქსტატი 2018წ, ქალები და კაცები საქართველოში.

ხდება. ეს შეიძლება ნაწილობრივ აიხსნას ტრადიციული პრაქტიკით, რის მიხედვითაც კაცებს პრივილეგია გააჩნიათ მემკვიდრეობის კუთხით, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ქალებს ჰქონდეთ სამართლებრივი უფლება ქონებაზე. მეორეს მხრივ, ქალი მფლობელების 20%-ზე მეტს უძრავი ქონება მიღებული აქვს (საცხოვრებელი ფართი, სასოფლო-სამეურნეო მიწა და სხვა უძრავი ქონება) ქორწინების შედეგად, რაც კაცების შემთხვევაში 3%-ს შეადგენს.

## **რეკომენდაციები:**

- შედეგების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ აუცილებელია ისეთი პროგრამების მხარდაჭერა და/ან შენარჩუნება (არსებობის შემთხვევაში), რომლებიც ფოკუსირებას ახდენენ ქალი მინათმფლობელების რაოდენობის ზრდაზე, ეს შესაძლებელია იყოს ისეთი ინიციატივა, როგორცაა იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარების ქვეშ არსებული საჯარო რეესტრის მიერ მინის უფასო და ხელმისაწვდომი რეგისტრაციის პროგრამა. მსგავსი ქმედებები გაზრდიდა იმ ქალთა რაოდენობას, რომლებიც არეგისტრირებენ თავიანთ მინებს და ფლობენ შესაბამის დოკუმენტაციას, რომელიც ადასტურებს მათ მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის მფლობელობას.
- ალტერნატიული პროცედურების/კრიტერიუმების არსებობის უზრუნველყოფა აგრო კრედიტების მისაღებად მათთვის, ვისაც არ აქვთ დოკუმენტაცია იმისათვის რომ დაადასტურონ მფლობელობა მინაზე. მინის არ ფლობა (რეგისტრირებულ მინაზე საბუთის არქონა) შესაძლოა ხელისშემშლელი ფაქტორი გახდეს აგრო კრედიტის მისაღებად, მათთვის ვისაც არ აქვს შესაბამისი დოკუმენტაცია. არსებული სტატისტიკის მიხედვით, ეს განსაკუთრებით ეხებათ ქალებს, შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს ალტერნატიული პროცედურები/კრიტერიუმები აგრო კრედიტზე ხელმისაწვდომობის მოსაპოვებლად, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მათ ეკონომიკურ გაძლიერებას.

## **ამოცანა 5.ბ: მონინავე ტექნოლოგიების, კერძოდ, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების გაფართოება ქალთა გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით**

**ინდიკატორი 5.ბ.1:** იმ პირთა პროპორციული ოდენობა, ვისაც აქვს მობილურ ტელეფონი, სქესის მიხედვით

*ინდიკატორის განმარტება: განისაზღვრება როგორც „იმ პირთა პროპორციული ოდენობა, რომლებიც ფლობენ მობილურ ტელეფონს, სქესის მიხედვით“<sup>48</sup>.*

### **ზოგადი მიმოხილვა**

მობილური ტელეფონის ფლობა და თანამედროვე ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა ძალიან მნიშვნელოვანი ხდება გენდერული თანასწორობისთვის, განსაკუთრებით მონყობილობების მზარდი მრავალფუნქციურობის გათვალისწინებით. მობილური ტელეფონის ფლობა მნიშვნელოვანია გენდერული თანასწორობის კუთხით, ვინაიდან მობილური ტელეფონი ის პირადი ნივთია, რომლის, ფლობა და არა უბრალოდ თანასაკუთრება, ქალებს მეტ დამოუკიდებლობისა და ავტონომიის ხარისხს ანიჭებს, რაც მნიშვნელოვანია, როგორც პროფესიული განვითარების შესაძლებლობების, ასევე უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის თვალსაზრისითაც. მობილურ ტელეფონზე თავისუფალი წვდომა ნიშნავს გადაუდებელი დახმარების სამსახურებთან და სხვადასხვა სახის ცხელ ხაზთან, მათ შორის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ცხელ ხაზთან წვდომას, როდესაც მსხვერპლი საჭიროებს სასწრაფო დახმარებას.

ოფიციალური მონაცემების თანახმად, მობილური ტელეფონის ფლობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ქალებსა და კაცებში 15-24 და 25-54 წლის ასაკობრივ ჯგუფებში შეინიშნება (95% კაცები და 91% ქალები, შესაბამისად 97% და 93%). მობილური ტელეფონის ფლობის შედარებით

<sup>48</sup> მეტამონაცემების დოკუმენტი

დაბალი მაჩვენებელი ფიქსირდება 6-14 და 75 წელს ზევით ასაკობრივ ჯგუფებში (ბიჭების 45% და გოგონების 48%, კაცების 53% და ქალების 46%)<sup>49</sup>. გენდერული განსხვავება მობილური ტელეფონის მფლობელთა შორის 7%-ზე ნაკლებია ყველა ასაკობრივ ჯგუფში, თუმცა ეს სხვაობა ყველა ასაკობრივ ჯგუფში კაცების სასარგებლოდაა, გარდა 6-14 ასაკობრივი ჯგუფისა, სადაც უფრო მეტი გოგონა ფლობს მობილურ ტელეფონს ვიდრე ბიჭი (სხვაობა 3%). მაქსიმალური სხვაობა კაცებსა და ქალებს შორის ტელეფონის ფლობის კუთხით ფიქსირდება 75 წელს ზევით ასაკობრივ ჯგუფში, სადაც 7%-ით მეტი კაცი ფლობს მობილურ ტელეფონს.

## შემთხვევის განხილვა

2018 წლის თებერვალში „112“-მა გამოუშვა ახალი ნოვატორული მომსახურება, მობილური აპლიკაცია<sup>50</sup> გადაუდებელი დახმარების მომსახურებისთვის. აპლიკაცია უფასოა მომხმარებლებისთვის და აქვს Android და IOS სისტემების მხარდაჭერა. ის ხელმისაწვდომია სამ ენაზე: ქართული, ინგლისური და რუსული. აპლიკაციას 3 მთავარი ფუნქცია გააჩნია: 112-ში სატელეფონო ზარის განხორციელება, ოპერატორთან საუბარი (ჩატის-ფუნქცია), SOS (დაფარული ზარი) იმ სიტუაციისთვის, როდესაც ზარის განმხორციელებელი საფრთხეშია და არ შეუძლია დარეკვა ან ოპერატორთან მიწერა. აპლიკაციის მთავარი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ როდესაც მობილური დაკავშირებულია ინტერნეტთან და ჩართულია GPS ფუნქცია, აპლიკაცია ავტომატურ რეჟიმში ახორციელებს ინიციატორის ადგილმდებარეობის დადგენას. აპლიკაცია, ასევე, სრულად არის მორგებული უსინათლო ან მცირემხედველი პირებისთვის. გარდა ამისა, აპლიკაციას აქვს დამატებითი ფუნქცია, რომელიც მის მომხმარებლებს აწვდის ინფორმაციას სხვადასხვა საკითხებზე, როგორცაა ოჯახში ძალადობა (ძალადობის ფორმები, მათზე რეაგირება, ხელმისაწვდომი მომსახურებები და ა.შ.), თამბაქოს მოხმარება და ბუნებრივი საფრთხეები.

2019 წლის სექტემბრის ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, აპლიკაცია გამოიყენა 20,000-ზე მეტმა ადამიანმა, საშუალოდ 150-170 მომხმარებელი დღეში. არ არსებობს გენდერულად ჩაშლილი მონაცემები აპლიკაციის გამოყენების შესახებ, თუმცა ინფორმაცია ამ აპლიკაციაზე ვრცელდება მედიის სხვადასხვა საშუალებებით, ისევე როგორც Facebook-ის ოფიციალურ გვერდზე და მოსახლეობასთან პერიოდული შეხვედრების დროს<sup>51</sup>.

## რეკომენდაციები:

### ეროვნულ დონეზე:

- ინტერნეტ მომსახურებასა და სმარტფონებზე წვდომის გაზრდა, განსაკუთრებით რეგიონებში, რაც უფრო მეტ ადამიანს მისცემს საშუალებას ჰქონდეს წვდომა ინფორმაციის გაუმჯობესებულ წყაროებზე, ასევე სამთავრობო, არასამთავრობო და კერძო სექტორის მიერ შემოთავაზებულ ნოვატორულ მომსახურებებზე;
- მსგავსი სახის ალტერნატიული სერვისების შეთავაზება მათთვის ვისაც არ აქვს სმარტფონი;
- მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო უწყებებმა პროაქტიულად განავითარონ მობილური აპლიკაციებზე დაფუძნებული ნოვატორული მომსახურებები, ინფორმაციულ წყაროებზე წვდომის გაუმჯობესებისა და სხვადასხვა სახის საჯარო მომსახურებების ონლაინ ხელმისაწვდომობის ზრდის ხელშეწყობისთვის. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონში მცხოვრები მოსახლეობისთვის;



<sup>49</sup> საქსტატი (2018წ.). გამოცემა „ქალები და კაცები საქართველოში“

<sup>50</sup> აპლიკაცია Google Play Store-ზე და App Store-ზეა განთავსებული, სახელწოდებით „112 საქართველო“.

<sup>51</sup> ინფორმაცია მოყვანილია „112“-ის წარმომადგენელთან ჩატარებული ინტერვიუდან.

- ქალებისთვის, რომლებიც შემაკავებელი/დამცავი ორდერის დაცვის ქვეშ იმყოფებიან სმარტფონებით უზრუნველყოფა, სადაც ჩატვირთული იქნება 112-ის აპლიკაცია, როგორც დამატებითი დაცვის მექანიზმი. (რეკომენდებულია შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის).

### **„112“-ის მობილური აპლიკაციისთვის:**

- აპლიკაციის ფუნქციების გაფართოება და ინფორმაციის დამატება ისეთ საკითხებზე როგორცაა „სექსუალური შევიწროვება“, „ადევნება“ და ა.შ;
- გენდერული, ასაკობრივი, სსმპ და ა.შ. მიხედვით ჩაშლილი მონაცემების ხელმისაწვდომობა ანალიტიკური მიზნებისთვის, რაც სამთავრობო უწყებებს მომსახურებების გაუმჯობესების შესაძლებლობას მისცემს;
- აპლიკაციის აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე თარგმნა, რაც მომსახურებას ხელმისაწვდომს გახდის საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისთვისაც;
- მნიშვნელოვანია მოსახლეობაში აქტიურად გავრცელდეს ინფორმაცია წინამდებარე აპლიკაციის შესახებ, სხვადასხვა საინფორმაციო არხების გამოყენებით.

## მიზანი 6:

# წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა

**ამოცანა 6.1:** 2030 წლისთვის ყველა ადამიანისთვის უსაფრთხო და ხელმისაწვდომ სასმელ წყალზე საყოველთაო და თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა

**ინდიკატორი 6.1.1:** მოსახლეობის პროპორციული ოდენობა, რომელიც სარგებლობს უსაფრთხოდ მართული სასმელი წყლის მომსახურებით

*ინდიკატორის განმარტება: იმ მოსახლეობის პროპორციული ოდენობა, ვინც უსაფრთხოდ მართულ სასმელ წყალს იყენებს, ამჟამად იზომება როგორც მოსახლეობის პროპორციული ოდენობა, ვინც იყენებს გაუმჯობესებულ ძირითადი სასმელი წყლის საშუალებებს, რომელიც მდებარეობს შენობაში, ხელმისაწვდომია საჭიროების შემთხვევაში და არ არის ფეკალიებით (და ქიმიკატებით) დაბინძურებული. „გაუმჯობესებული“ სასმელი წყლის საშუალებები მოიცავს შემდეგს: წყლის მიწოდებას გაყვანილობების საშუალებით საცხოვრისში, ებოსა და მიწის ნაკვეთზე; საზოგადოებრივ ონკანებს; ჭებს; დაცულ ჭებს; დაცულ წყაროებს; დაფასოებულ წყალს; მიწოდებულ წყალსა და წვიმის წყალს.<sup>52</sup>*

**ამოცანა 6.2:** 2030 წლისთვის ყველა ადამიანისთვის ადეკვატურ და თანაბარ სანიტარულ და ჰიგიენურ პირობებზე წვდომის მიღწევა და ღია დეფეკაციის აღმოფხვრა, საგანგებო ყურადღების მიპყრობით ქალებისა და გოგონების, ასევე მოწყვლად სიტუაციებში მყოფი ადამიანების საჭიროებებისათვის.

**ინდიკატორი 6.2.1:** იმ მოსახლეობის პროპორციული ოდენობა, რომელიც სარგებლობს უსაფრთხოდ მართული სანიტარული მომსახურებით, მათ შორის საპნითა და წყლით აღჭურვილი ხელის დასაბანი მოწყობილობებით

*ინდიკატორის განმარტება: იმ მოსახლეობის პროპორციული ოდენობა, რომელიც უსაფრთხოდ მართული სასმელი წყლის მომსახურებას იყენებს, ხელსაბანი საშუალებების, საპნის და წყლის ჩათვლით. უფრო კონკრეტულად, ძირითადი სანიტარული საშუალებების გამოყენება იზომება, როგორც მოსახლეობის ის პროპორციული ოდენობა ვინც იყენებს სანიტარულ ინფრასტრუქტურას, რომელიც არ არის საზიარო სხვა შინამეორნეობასთან, ხელმისაწვდომია საჭიროების შემთხვევაში და არ არის ფეკალიებით დაბინძურებული. „გაუმჯობესებული“ სანიტარული ინფრასტრუქტურა მოიცავს შემდეგს: ჩარეცხვად კანალიზაციის სისტემას, სეპტიკურ ავზებს, ორმოიან საპირფარეშოებსა, ვენტილაციის მქონე ორმოიან საპირფარეშოებს, მოპირკეთებულ ორმოიან საპირფარეშოებს და მშრალ საპირფარეშოებს.<sup>53</sup>*

## ზოგადი მიმოხილვა

სუფთა და ხელმისაწვდომი წყალი და სანიტარია, ადამიანის ფუნდამენტური უფლების საკითხია<sup>54</sup>. წყალსა და სანიტარიასთან დაკავშირებული საკითხები განსხვავებულ გავლენას ახდენს ქალებზე

<sup>52</sup> მეტამონაცემების დოკუმენტი

<sup>53</sup> მეტამონაცემების დოკუმენტი

<sup>54</sup> 2010 წლის 28 ივლისს, 64/292 გადაწყვეტილების თანახმად, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ცალსახად აღიარა ადამიანის უფლება წყალსა და სანიტარულ პირობებზე და დაადასტურა, რომ სუფთა სასმელი წყალი და სანიტარული პირობები გადამწყვეტია ადამიანის ყველა უფლების განსახორციელებლად. გადაწყვეტილება მოუწოდებს სახელმწიფოებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს, გამოყონ ფინანსური რესურსები, დაეხმარონ შესაძლებლობების შექმნას და ტექნოლოგიების გადაცემას, იმისთვის რომ დაეხმარონ ქვეყნებს, კერძოდ, განვითარებად ქვეყნებს, რომ ყველასთვის უზრუნველყონ უსაფრთხო, სუფთა, ხელმისაწვდომი სასმელი წყალი და სანიტარული პირობები.



და კაცებზე, ამის ახსნა კი რამდენიმე ფაქტორით შეიძლება: **ბიოლოგიური განსხვავებები**, როგორც არის ჰიგიენის დაცვა მენსტრუალური ციკლის დროს ან/და დედათა ჯანმრთელობა - მენსტრუალური ჰიგიენის დაცვა საჭიროებს წყალსა და სანიტარულ-ჰიგიენურ საშუალებებზე წვდომას; **სოციალური ნორმები**, კულტურული ნორმებიდან გამომდინარე ძირითადად ქალები ითვლებიან პასუხისმგებლებად ოჯახის წევრებზე ზრუნვის და სახლში სისუფთავის შენარჩუნებასა და დაცვაზე, ეს მათ ასევე პასუხისმგებლობას აკისრებს წყლით მომარაგებაზე; **ძალადობის რისკი** - შორ მანძილზე მართო გადაადგილება წყლისთვის, ან არა უსაფრთხო საჯარო ტუალეტების გამოსაყენებლად, განსაკუთრებით ღამით, ზრდის ქალებისა და გოგონების გაუპატიურების, შევიწროვების და ა.შ. რისკებს.

ამოცანები 6.1 და 6.2 აირჩია საქართველოს მთავრობის მიერ და ნაციონალიზებული SDG-ების ნაწილს წარმოადგენს. ინდიკატორი 6.1-ისთვის მონაცემთა წყაროდ განისაზღვრება მრავალკლასტერული (MICS)55 კვლევა, რომლის საფუძველზეც 2019 წელს უნდა განისაზღვროს საბაზისო მაჩვენებლები.<sup>56</sup>

**ამოცანა 6.1:** მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) და UNICEF-ის ერთობლივი მონიტორინგის პროგრამის (JMP) მონაცემების თანახმად, საქართველოს მოსახლეობის 71%-ს აქვს წვდომა უსაფრთხოდ მართულ სასმელ წყალზე. მნიშვნელოვანი განსხვავება ფიქსირდება საქალაქო და სასოფლო დასახლებებს შორის, სოფლად მოსახლეობის 55%-ს აქვს წვდომა უსაფრთხოდ მართულ სასმელ წყალზე, საქალაქო დასახლებებში კი 85%-ს.<sup>57</sup>

**ამოცანა 6.2:** JMP-ის „სანიტარული კიბის“ მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის 85%-ს აქვს წვდომა ძირითად სანიტარულ პირობებზე, გარკვეული განსხვავებები დაფიქსირდა სასოფლო და საქალაქო დასახლებების შემთხვევაში, ქალაქის მოსახლეობის 17%-ს აქვს წვდომა უსაფრთხოდ მართულ სანიტარულ პირობებთან და 78%-ს საბაზისო სანიტარულ პირობებთან, მაშინ როცა სოფლად მოსახლეობის 26%-ს არასათანადო სანიტარული და 73%-ს საბაზისო სანიტარული პირობები აქვთ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბაზისო სანიტარული პირობები არ შეიძლება ჩაითვალოს ადეკვატურად. ორმოიანი საპირფარეშოები, რაც ძირითადად გამოიყენება სასოფლო დასახლებებში, აბინძურებს მიწისქვეშა წყლებს, რაც ხშირად სასმელად გამოიყენება ახლომდებარე ჭებიდან.

<sup>55</sup> მრავალკლასტერული კვლევა (MICS) საერთაშორისო კვლევის პროგრამაა, რომელიც შემუშავებული და მხარდაჭერილია UNICEF-ის მიერ. MICS კვლევის მე-6 რაუნდი საქართველოში 2018 წელს დაიწყო და ტარდება საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურის (საქსტატი) მიერ.

<sup>56</sup> ანგარიშის წერის დროს კვლევის შედეგები არ იყო გამოქვეყნებული.

<sup>57</sup> უახლესი ხელმისაწვდომი მონაცემები 2015 წლის არის და ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).



## კრიტიკული საკითხი

სასმელი წყლისა და სანიტარული პირობების ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანი საკითხია არა მხოლოდ ოჯახის დონეზე, არამედ მის მიღმაც. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი თემაა სკოლებისთვის და სკოლამდელი დაწესებულებებისთვის, ვინაიდან ის მჭიდროდ არის დაკავშირებული ბავშვებისა და მათი მომვლელების ჯანმრთელობასთან და მათ განათლების უფლებასთან. UNICEF-ის „სასმელი წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლებში: გლობალური საბაზისო კვლევის ანგარიშის“ თანახმად<sup>58</sup>, საქართველოში სკოლების 74%-ს აქვთ სასმელი წყლის საბაზისო მომსახურება<sup>59</sup>, 16%-ს აქვს შეზღუდული მომსახურება<sup>60</sup> და 10%-ს საერთოდ არ აქვს სასმელი წყლით მომსახურება<sup>61</sup>. იმავე კვლევის თანახმად, საქართველოში წყლის ხარისხის შემოწმება უფრო ქალაქის სკოლებში ხდება, ვიდრე სოფლის სკოლებში (UNICEF, 2018).



კიდევ ერთმა მნიშვნელოვანმა წყარომ, სახალხო დამცველის 2018 წლის მონიტორინგის ანგარიშმა<sup>62</sup>, საჯარო სკოლებში სასმელ წყალსა და სანიტარიასთან წვდომის კუთხით, დამატებითი კრიტიკული საკითხები გამოავლინა. ანგარიშის მიხედვით, საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურა და სანიტარულ-ჰიგიენური პირობები ნაკლებად ორიენტირებულია ბავშვების საჭიროებებზე. ჰიგიენური ნორმების დაცვა და მათი გაუმჯობესება ჯერ კიდევ სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს. უფრო კონკრეტულად:

### სასმელი წყალი:

- სკოლების უმრავლესობას (63.9%) არ აქვთ წყლის ცენტრალური მომარაგების სისტემა სკოლის შენობაში ან წყლის ცენტრალური სისტემა სკოლის ეზოში (54.6%);
- გამოვლინდა გარკვეული რაოდენობის სკოლები, რომლებსაც არ აქვთ სასმელი (17%) ან ტექნიკური წყალი (10%). ეს პრობლემას უქმნის როგორც ბავშვებს, ასევე მომსახურე პერსონალს (განსაკუთრებით დამლაგებლებს), ვინაიდან მათ წყლის მომარაგება უწევთ ეზოებიდან ან საერთო საზოგადოებრივი მოხმარებისთვის განკუთვნილი წყაროებიდან, რაც რამდენიმე კილომეტრის მოშორებითაა. ასეთ პირობებში ბავშვებს არ შეუძლიათ საკმარისი რაოდენობის წყლის დაღევა, ხელების დაბანა და ა.შ.
- შემოწმებული სკოლების 71%-ში, არასდროს ჩატარებულა სასმელი წყლის ხარისხის შემოწმება ან ჩატარებულა არასწორად.
- მხოლოდ 12 სკოლაში (108 შემოწმებული სკოლიდან) წყლის მონიტორინგი ხორციელდება წელიწადში ერთხელ.
- უსაფრთხო წყალი აღმოჩნდა 16 შემოწმებულ სკოლაში (108 სკოლოდან).
- გარდაამისა, ანგარიშის თანახმად, სკოლის ადმინისტრაციას არ არის სათანადოდ ინფორმირებული იმის შესახებ თუ როგორ უნდა შემოწმდეს წყლის ხარისხი, ან რომელი სამსახურია ამაზე პასუხისმგებელი.

<sup>58</sup> JMP. 2018წ. სასმელი წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლებში. გლობალური სტანდარტული კრიტერიუმების ანგარიში. ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).

<sup>59</sup> სასმელი წყალი გაუმჯობესებული წყაროებიდან ხელმისაწვდომია სკოლაში.

<sup>60</sup> გაუმჯობესებული წყარო არის, მაგრამ კვლევის დროს წყალი არ იყო ხელმისაწვდომი.

<sup>61</sup> არ არის წყლის წყარო ან გამოუსწორებელი წყარო.

<sup>62</sup> სახალხო დამცველის ოფისი საქართველოში. 2018წ. საქართველოში საჯარო სკოლებში სასმელი წყლისა და სანიტარიის უფლებებზე წვდომა.

## სანიტარია:

- უმეტეს შემთხვევაში, ტუალეტის ჭიხურები სკოლის შენობის გარეთ მდებარეობს, განსაკუთრებით სოფლად და მთიან რეგიონებში (57.4%, 53 სკოლა). 11 სკოლაში ტუალეტის ჭიხურები იყო როგორც სკოლის შენობის გარეთ, ასევე მის შიგნით.
- შემონმბეული სკოლების მხოლოდ 44.4%-ს გააჩნია საპონი, 26.9%-ს ხელის ქაღალდი და 25.9%-ს ჩარეცხვადი სისტემა.
- სანიტარული ინფრასტრუქტურა ფუნქციური, ტექნიკურად გამართული და სუფთა, 108 საჯარო სკოლიდან, მხოლოდ 18-შია (17%).

როგორც არსებული მონაცემები აჩვენებს, ბევრ ოჯახსა და სკოლაში არასათანადო ხარისხის წყალს მოიხმარენ ან სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობა საერთოდ არ გააჩნიათ. რაც შეეხება სანიტარულ საკითხებს, მოსახლეობა ძირითადად იყენებს ორმოიან საპირფარეშოებს, რაც აბინძურებს სასმელ წყალს. როგორც სახალხო დამცველის ანგარიშშია ხაზგასმული, „**სკოლის გარემო, ინფრასტრუქტურა, წყლისა და სანიტარული მდგომარეობის ხელმისაწვდომობა საგანგაშოა და სასწრაფოდ საჭიროებს ყურადღების მიქცევას, რაც შესაბამისმა ორგანოებმა ყველაზე მნიშვნელოვან პრიორიტეტად უნდა მიიჩნიონ**“<sup>20</sup>.

## მონაცემთა ხარვეზები 6.1 და 6.2 ამოხსანებში

ყველა ზემოთ ნახსენები მონაცემი ინფორმაციას იძლევა ოჯახის ან ორგანიზაციის (სკოლა), და არა ინდივიდუალურ დონეზე. სამომავლოდ საჭიროა განვითარდეს მონაცემთა წარმოების ახალი მიდგომები, რომლებიც ოჯახის წევრებს შორის არსებულ განსხვავებებს და უთანასწორობასაც უფრო მეტად გამოავლენს.

არ არსებობს მონაცემები წყლის ხარისხის შესახებ. WECF-ის გამოუქვეყნებელი მცირემასშტაბიანი კვლევის თანახმად, არაოფიციალურმა შემონმბებამ ბევრ სასოფლო დასახლებაში სასმელი წყლის არასათანადო ხარისხი გამოავლინა, რომელშიც ბაქტერიოლოგიური მაჩვენებლები და ნიტრატები დაშვებულ ნორმას აღემატებოდა.

კიდევ ერთი საკითხი რომელიც აღნიშნავს საჭიროებს ეს არის სამართლებრივი ნორმა, რომლის თანახმადაც წყლის სისტემები რომლებსაც 50 მომხმარებელზე ნაკლები ჰყავს, სახელმწიფოს პასუხისმგებლობის მიღმა რჩება. აქედან გამომდინარე, ეს სისტემები არ არის დაცული და მათი ხარისხი არ არის შემონმბებული.

## ძირითადი რეკომენდაციები 6.1 და 6.2 ამოხსანებისთვის:

როგორც უკვე აღინიშნა, სანიტარული და წყლის რესურსების ნაკლებობა სხვადასხვა გვარად მოქმედებს ქალებისა და კაცების ცხოვრების ხარისხზე. ქალებისთვის: 1) ზრდის დროის ხანგრძლივობას, რომელიც საჭიროა საოჯახო საქმეების შესრულებისთვის, ვინაიდან კულტურული ნორმებიდან გამომდინარე ძირითადად ქალები არიან ამ უკანასკნელის შესრულებაზე პასუხისმგებლები; 2) ზრდის იმ დროის ხანგრძლივობას, რომელიც საჭიროა ოჯახის წევრებზე ზრუნვისთვის, ვინაიდან მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) თანახმად, დიარეის შემთხვევათა გამომწვევ მიზეზებში ძირითადად (88%) არასათანადო სასმელი წყალი, სანიტარია და ჰიგიენა გვევლინება, ხოლო არსებული სოციალური ნორმების თანახმად კი, ოჯახის წევრებზე ზრუნვა ძირითადად ქალების პასუხისმგებლობად ითვლება.; 3) სკოლებში სანიტარული პირობების მოუწესრიგებლობა ხელს უშლის გოგონების სკოლაში მოსწრებას, მენსტრუალური ციკლის დროს; 4) სკოლებსა და სამუშაო ადგილებში სანიტარული პირობების მოუწესრიგებლობამ, შესაძლოა რეპროდუქციული ჯანმრთელობის პრობლემები გამოიწვიოს ქალებსა და გოგონებში; 5) და ბოლოს, შესაძლოა გაიზარდოს ძალადობის შემთხვევები, როდესაც ქალებს უწევთ დიდი მანძილის გავლა წყლის მოსათანად.

ამგვარად, წყალსა და სანიტარიაზე ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესება ქალებს ხელს შეუწყობს უფრო იოლად გაუმკლავდნენ არსებულ მოვალეობებს. სანიტარიაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქალების უსაფრთხოებას, კეთილდღეობას და უზრუნველყოფს მათი ღირსეული ცხოვრების პირობებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქვემოთ ჩა-

მოთვლილია რეკომენდაციები, რომელთა შესრულებაც სხვადასხვა სამთავრობო უწყებების მხრიდან კოორდინირებულ ქმედებებს საჭიროებს, ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე:

### მთავრობას:

- საჭიროა მონიტორინგის ინსტრუმენტების შემუშავება, რომლებიც სასმელი წყლისა და სანიტარიის კუთხით პოლიტიკის განხორციელებას გენდერულ ჭრილში შეაფასებენ;
- არსებული მონაცემები მხოლოდ წყლის სისტემების არსებობა/არარსებობაზე იძლევა ინფორმაციას. მნიშვნელოვანია, ისეთი მონიტორინგის ინსტრუმენტების შემუშავება, რომლებიც წყლის სესტემებში წყლის ხელმისაწვდომობას და ხარისხსაც შეაფასებს;
- მნიშვნელოვანია ჩატარდეს კამპანიები მდგრადი სანიტარული გადანყვებილების შესახებ, საზოგადოების ინფორმირების მიზნით (მაგ. მშრალი ტუალეტები და საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების ფილტრები);
- წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე ტექნიკური რეგულაციების განახლება საჯარო სკოლებისთვის WASH-ის პრინციპების თანახმად, მათ შორის მშრალი საპირფარეშოების ალტერნატივების განხილვა იმ სკოლებისთვის, სადაც წყალზე და კანალიზაციის სისტემებზე ხელმისაწვდომობა შეზღუდულია.<sup>63</sup>
- რეგულაციების განახლება, რომელიც პასუხისმგებელ უწყებებს დაავალდებულებს რომ მონიტორინგი გაუწიონ წყლის სისტემებს რომელთა მომხმარებლების რაოდენობაც 50-ზე ნაკლებია;



### საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს:

- მნიშვნელოვანია, ცნობიერების ამაღლების აქტივობების რეგულარულად გამართვა სკოლებში ბავშვებისთვის, მშობლებისა და თანამშრომლებისთვის, სანიტარული და ჰიგიენის ნორმების დაცვის და წყლის რაციონალური გამოყენების საკითხებზე (მაგალითისთვის იხილეთ ანგარიში). ასევე შესაძლებელია ამ საკითხის სასწავლო პროგრამაში ნაწილობრივ ინტეგრირება.
- მნიშვნელოვანია საჯარო სკოლებში წყალზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე შიდა დოკუმენტაციისა და რეგულაციების შემუშავების/განახლების ხელშეწყობა.
- მნიშვნელოვანია სამინისტროს მხრიდან ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით მოხდეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში წყლის გაყვანილობების, წყლის ხარისხისა და სასმელ წყალზე წვდომის უზრუნველყოფის დროული კონტროლი.<sup>64</sup>
- მნიშვნელოვანია სამინისტროს მხრიდან ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით, მოხდეს უფრო ეფექტური და ეკოლოგიურად მდგრადი გადანყვებილების შეთავაზება, როგორც არის მშრალი ტუალეტები (დეტალური ინფორმაცია მშრალ ტუალეტებთან დაკავშირებით, მათი ფუნქციონირებისა და აგების შესახებ, მოცემულია შემდეგ [სახელმძღვანელოში](#)), ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონებში, სადაც ორმოს ტიპის ტუალეტები ყველაზე ფართოდ გამოყენებადია სკოლებში.

<sup>63</sup> იხილეთ [ბმული](#).

<sup>64</sup> გამოსადეგი ინფორმაცია სკოლებში სანიტარიასა და ჰიგიენაზე ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).

## მიზანი 7:

### ხელმისაწვდომი, საიმედო, სტაბილური და თანამედროვე ენერჯის საყოველთაო ხელმისაწვდომობა

**ამოცანა 7.1.** 2030 წლისთვის საქართველო მიაღწევს მნიშვნელოვან პროგრესს ხელმისაწვდომ, საიმედო და თანამედროვე ენერგომომსახურებაზე ქვეყნის მასშტაბით წვდომის უზრუნველყოფის თვალსაზრისით

**ინდიკატორი 7.1.1.** იმ მოსახლეობის პროპორციული რაოდენობა, რომელსაც ხელი მიუწვდება ელექტროენერჯიაზე.

**ინდიკატორი 7.1.2** იმ მოსახლეობის პროპორციული ოდენობა, რომელიც ძირითადად იყენებს ენერჯის სუფთა წყაროებსა და ტექნოლოგიებს.

**ინდიკატორი 7.1.3** იმ მოსახლეობის პროპორციული ოდენობა, რომელსაც ხელი მიუწვდება საიმედო და თანამედროვე ენერგომომსახურებაზე.



ენერგეტიკული სიღარიბე გულისხმობს მდგომარეობას, რომელშიც ინდივიდებს თუ ოჯახებს არ აქვთ შესაძლებლობა გაათბონ საცხოვრებელი ფართი ან დაიკმაყოფილონ ენერგო მოთხოვნები ხელმისაწვდომ ფასად. ამგვარად, ენერგეტიკული სიღარიბე უკავშირდება ენერგო მომსახურებებზე როგორც ფიზიკურ წვდომას, ასევე, მის ხელმისაწვდომობას. ენერგეტიკული სიღარიბის პირობების გამომწვევ ფაქტორებს შორის არის: ცუდად მოწყობილი ინფრასტრუქტურა, მზარდი ფასი საწვავზე და ექსტრემალური კლიმატური პირობები<sup>65</sup>. დღესდღეობით, საქართველოს მოსახლეობის 99%-ს აქვს წვდომა ელექტროენერჯიაზე და 68%-ს ბუნებრივ გაზზე.<sup>66</sup> სახლების გასათბობად, წყლის გასაცხელებლად და საჭმლის მოსამზადებლად მოსახლეობა, ძირითადად, ბუნებრივ გაზს, შუშასა და ელექტროენერჯიას იყენებს. სახლში ენერჯის სრულ ხმარებაში ბუნებრივი გაზის წილი 51.8%-ია, შუშის - 29.9%, ხოლო ელექტროენერჯის - 16.4%. შუშის ენერჯიად გამოყენების შემთხვევები ბევრად მეტია სოფლად და ენერჯის სრული მოხმარების 82%-ს შეადგენს. შუშის ასეთი რაოდენობით გამოყენება ენერგეტიკული სიღარიბის მაჩვენებლად შეგვიძლია მივიჩნიოთ,

<sup>65</sup> მეტი ინფორმაცია ენერგეტიკულ სიღარიბეზე ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).

<sup>66</sup> კვარაცხელია თ., მარგველაშვილი მ. და შათირიშვილი ნ. 2018წ. ენერგეტიკული სიღარიბე და მოწყვლადი მომხმარებლები საქართველოში. ანგარიში ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე [ბმულზე](#).

ვინაიდან ეს მიუთითებს ენერჯის უფრო სუფთა წყაროებზე წვდომის/ხელმისაწვდომობის შეზღუდულობაზე.

ენერგეტიკულ სიღარიბეს მნიშვნელოვანი გენდერული განზომილებაც გააჩნია, ვინაიდან იგი არაპროპორციულად დიდ გავლენას ახდენს ქალებზე. ეს განსაკუთრებით ეხება საქართველოს მსგავს განვითარებად ქვეყნებს, სადაც ქალებს ნაკლები ეკონომიკური შესაძლებლობები აქვთ და მეტ დროს ატარებენ სახლში, საყოფაცხოვრებო საქმიანობაში და გარემოს დამაბინძურებელი საწვავით საჭმლის მომზადებაში. მსოფლიო ბანკის 2015 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოში სახლებში ჰაერის დაბინძურება WHO-ს მიერ რეკომენდირებულ დონეზე 30-ჯერ მაღალია. შენობაში ჰაერის დაბინძურება მჭიდროდაა დაკავშირებული ჰაერის დამაბინძურებელი საწვავის გამოყენებასთან. შუშის წვის შედეგად წარმოქმნილი გამონაბოლქვი ზრდის კატარაქტის, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების, ასთმის, პერინატალური დაავადებების და სხვა ჯანმრთელობის პრობლემების განვითარების რისკს (მსოფლიო ბანკი, 2012). შესაბამისად, ქალები ჯანმრთელობის პრობლემების თვალსაზრისით უფრო მაღალი რისკის წინაშე დგანან, რადგან უფრო დიდხანს უწევთ ენერჯის უსუფთაო წყაროების ზემოქმედების ქვეშ ყოფნა სახლებში.

აღსანიშნავია, რომ ენერჯო ეფექტურობა და განახლებადი ენერჯია, დიდწილად, არ არის გათვალისწინებული საქართველოს მიერ ნაციონალიზებულ მდგრადი განვითარების მიზნების ჩარჩოში. ამ მხრივ პროგრესის წინამძღოლები, პირველ რიგში, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები არიან, თუმცა, მიუხედავად აქტივისტების ძალისხმევით, პოლიტიკური ნების არარსებობა აფერხებს აღნიშნულ პროცესს. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ენერგეტიკული სიღარიბის შესამცირებლად და სუფთა და მდგრადი ენერჯო რესურსების გამოყენების გასაზრდელად. მთელი ქვეყნის მასშტაბით სოფლებში დამონტაჟდა არაძვირადღირებული მზის ენერჯიაზე მომუშავე წყლის გამათბობლები<sup>67</sup>, რომლებიც უზრუნველყოფენ სუფთა და მდგრად ენერჯიაზე მარტივ წვდომას, ამცირებენ საწვავის ხარჯებს და წვლილი შეაქვთ გარემოზე ნეგატიური ზეგავლენის შემცირებაში<sup>68</sup>. მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ ენერჯის თანამედროვე, სუფთა და ეფექტური წყაროების შესახებ ინფორმაციის, ისევე, როგორც წვდომის ნაკლებობა განსაკუთრებით თვალშისაცემია მოსახლეობის სოციალურად მოწყვლად ჯგუფებში. ამ ჯგუფებს, ხშირად, შეუძა ყველაზე სუფთა და ეკონომიკური კუთხით საუკეთესო ალტერნატივად მიაჩნიათ და არ აქვთ ინფორმაცია ენერჯო ეფექტური ნათურების და ენერჯის სუფთა წყაროების ხელმისაწვდომი ფასის შესახებ.



<sup>67</sup> ანგარიში ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).

<sup>68</sup> ანგარიში ხელმისაწვდომია [ბმულზე](#).

## კრიტიკული შემოხვევა

მიუხედავად იმისა, რომ ბუნებრივ აირზე, როგორც ენერჯის ერთერთ ყველაზე ხელმისაწვდომ წყაროზე, წვდომა იზრდება საქართველოში, მოსახლეობის მუდმივი შეშფოთების მიზეზი ამ საწვავის გამოყენების უსაფრთხოებაა. გასული წლის განმავლობაში ბევრი შემთხვევა დაფიქსირდა, როდესაც ბუნებრივი გაზის დანადგარების უსაფრთხოების წესების დარღვევით მონტაჟმა გამოიწვია კაცების, ქალებისა და ბავშვების გარდაცვალება. ამ შემთხვევებმა წარმოშვა დისკუსიები ენერჯო მომსახურებაში უსაფრთხოების უფრო მკაცრი რეგულაციების და ქვეყნის მასშტაბით ბუნებრივი აირის დანადგარების ფართომასშტაბიანი შემოწმების საჭიროებაზე. ექსპერტები ასევე აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანი ცნობიერების ამაღლების კამპანიის ჩატარება ქვეყანაში, იმისთვის, რომ აღმოიფხვრას გაზის გამათბობლების თვითნებურად დამონტაჟების პრაქტიკა მოსახლეობაში და გაიზარდოს ცნობიერება მარტივი პრევენციული ზომების შესახებ, როგორცაა, მაგალითად, საცხოვრებლის რეგულარული ვენტილაცია. ახალი საკანონმდებლო ინიციატივის მიხედვით, ყოველ ოჯახს დაეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს დამონტაჟებული გამათბობლის შემოწმება ტექნიკოსის მიერ. საწყის ეტაპზე, ინსპექტირების ხარჯებს ბუნებრივი აირის მომწოდებელი კომპანია დაფარავს, თუმცა, სავარაუდოდ, 2023 წლიდან, მოსახლეობას თავად მოუწევს კერძო ინსპექტირების კომპანიების მომსახურების საფასურის გადახდა.

## რეკომენდაციები

- ენერჯეტიკული სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლა ენერჯო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ მიზნად უნდა განიხილებოდეს, უსაფრთხო, საიმედო, ხარისხიან და ხელმისაწვდომ ენერჯო მომსახურებაზე მოსახლეობის წვდომის უზრუნველსაყოფად. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რეგიონებს, სადაც გაუმართავი ინფრასტრუქტურა საფრთხეს უქმნის ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ამასთანავე ზიანს აყენებს საყოფაცხოვრებო ტექნიკას;
- საჭიროა ჩატარდეს საინფორმაციო კამპანია ენერჯო ეფექტურობაზე და ენერჯის გამოყენების მნიშვნელოვან ასპექტებზე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რეგიონებს, რომ მოხდეს ცნობიერების ამაღლება შეშის, როგორც ენერჯის წყაროს გამოყენების შედეგად გამოწვეულ ჯანმრთელობის პრობლემებზე და ენერჯო მომარაგების უფრო ეფექტურ ალტერნატივებზე. ინფორმაციულ კამპანიაში მნიშვნელოვანია, ქალებისთვის განსაკუთრებული ყურადღების დათმობა, ვინაიდან შეშის გამოყენებით გამოწვეული ჯანმრთელობის პრობლემების შედეგებს ყველაზე მეტად ქალები შეიგრძნობენ;
- შეშის, ელექტროენერჯის და ბუნებრივი აირის სუბსიდირების სახელმწიფო პროგრამების მოდიფიცირება, იმისთვის, რომ აქცენტი გაკეთდეს ენერჯის მდგრადი წყაროების გამოყენებაზე (მზის ენერჯით წყლის გამათბობლები, მზის ბატარეები) და ენერჯო ეფექტურობის გაზრდაზე;
- ნაციონალიზებული SDG ჩარჩო უნდა მოიცავდეს ენერჯო ეფექტურობის ინდიკატორს, იმისთვის რომ გააღვივოს პოლიტიკური ნება და გაზომოს პროგრესი დასახული მიზნებისკენ სვლაში;
- ინდიკატორი ჰაერის დაბინძურების შესახებ (რისი მიზეზიცაა ენერჯეტიკული სიღარიბით განპირობებული გაუმართავი გამათბობლების გამოყენება) უნდა იყოს მდგრადი განვითარების მე-7 ან მე-3 მიზნის ინდიკატორებს შორის (ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის, ხელმისაწვდომი, საიმედო, სტაბილური და თანამედროვე ენერჯის საყოველთაო ხელმისაწვდომობა).



